სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 18 ივლისი 2005 №161 (2484) ფასი 50 თეთრი

ჟირესი თბილისში ჩამოდის

ამბობენ, ნაკრებს დარსამს ჩააბარებენო

2

ტყუილი

ტომასონი ბენფიკას ნაცვლად შტუტგარტში წასულა

5

მონრეალის გაშლილი და დაკეცილი წყალი

მოსოფლიოს ჩემპიონატი ცურვაში

12

ზაზა ჯორჯიაში

ფაჩულია ქორებთან გადაფრინდა

ზაზა ფაჩულია რამდენიმე დღეში, სავარაუდოდ, 22 ივლისს, „ატლანტა ჰოქსთან“ გააფორმებს ოთხწლიან კონტრაქტს. როგორც ქართველი კალათბურთელის დედამ, ქალბატონმა მანანამ გვაცნობა, ეს ამბავი 99 პროცენტითაა გადაწყვეტილი და თუ ეს მართლა ასე მოხდა, ფაჩულია თავის მესამე ნბა-ურ სეზონს მესამე გუნდში დაიწყებს. თავად ზაზას არ სურდა ძველი გუნდის, „მილუოკი ბაქსის“ დატოვება, მაგრამ იქიდან თავკაც ტერი პორტერის დათხოვნამ და სხვა წვრილმანმა გარემოებებმა აიძულა, სხვა გუნდი მოენახა.

ისინბაევა ცას უახლოვდება

ჭოკით ხტომაში ქალთა ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარდა — 5.95 მეტრი. ვინ დაამყარა? ვფიქრობთ, ეს ძალიან გულუბრყვილო კითხვაა, რადგან ამ სახეობაში აწ უკვე ბოლო თხუთმეტი საუკეთესო შედეგი ერთსა და იმავე ადამიანს, 23 წლის ვოლგოგრადელ რუსს ელენა ისინბაევას ეკუთვნის. ისინბაევამ რეკორდის შემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კიდევ 21-ჯერ უნდა შეამციროს მანძილი ცამდე. მიზეზი...

მეთოთხმეტე გვერდი

ალენ ჟირესი თბილისში ჩამოდის

ამბობენ, ნაკრებს დარსაძეს ჩააბარებენო





ბურაგ დოლოსიანის ფოტოები

ალის ბოლოსთვის ნოდარ ახალკაცის და ალენ ჟირესის გზები ალბათ გაიყრება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი დღეს თბილისში ჩამოვა და თუ არაფერი შეიცვალა ყაზახეთთან 15 აგვისტოს შესარჩევ მატჩამდე აქვე დარჩება. შესაცვლელი კი მწვრთნელსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის ურთიერთობაა.

პარასკევის პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა თქვა, ფედერაციას ნაკრების მწვრთნელის 70 ათასი ვალი აქვს, ეს თანხა მას ძველი ფედერაციისგან ბონუსის სახით უნდა მიელო, მაგრამ ჩვენ ამ ფულის გადახდის საშუალება არ გვაქვს, ჟირესი ჩვეულებრივ ხელფასს მიიღებსო. როგორია ალენ ჟირესის პოზიცია, ვერ გეტყვით, გუშინ ის გზაში იყო და დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, მისმა თანაშემწე გია გურულმა კი პრეზიდენტის ამ განცხადების თაობაზე არაფერი იცოდა. ჟირესი საქართველოში 30 ივლისს უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის პრინციპული მოთხოვნით მწვრთნელი დღეს ჩამოდის.

უკვე ცხადია, რომ ფეხბურთის ფედერაციასა და ნაკრების მწვრთნელს შორის მთლად ტკბილი ურთიერთობა არ არის და ნუ გაიკვირვებთ, ჟირესმა საქართველოში სამსახური კონტრაქტის გასრულებამდეც თუ დაკარგა. კონტრაქტით კი ალენ ჟირესმა ეროვნულ გუნდში დეკემბრამდე უნდა იმუშავოს. კულუარებში ამბობენ, ნოდარ ახალკაცი ნაკრების მწვრთნელის სკამს გაიოზ დარსაძეს უმზადებსო, რომელიც ახლა ნაკრები გუნდების ტექნიკური დირექტორია.

კობა ინასარიძე

სპარტაკმა და დინამომ შევარდენი აიღეს



ბაბური კუბილავის ფოტო

როლანდ ჩხაიძე

გადაწყდა, რომ თბილისის „სპარტაკი“ და სოხუმის „დინამო“ ერთ, საერთო, „შევარდენის“ სტადიონზე ითამაშებენ და მეტოქეებსაც რიგ-რიგობით უმასპინძლებენ. როგორც „სპარტაკის“ პრეზიდენტმა როლანდ ჩხაიძემ გვითხრა, გუნდი უკვე ყოველდღიურად „შევარდენზე“ ვარჯიშობს, ეს სტადიონი ამ სეზონში ჩვენი და სოხუმის „დინამოსი“ იქნება და ერთადვე ვუპატრონებთო.

შემადგენლობის მხრივ „სპარტაკში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. წინა სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდი სამმა ფეხბურთელმა დატოვა: ტატანაშვილი „ამერში“ წავიდა, ჟვანია და ჯანგიძე — სოხუმის „დინამოში“, თუმც, ჩხაიძის თქმით, ჯანგიძე შესაძლოა უკანვე დაბრუნდეს. გერმანული „კიოლნის“ მეორე გუნდში მიდის მაღლაფერიძე, ის სადღეისოდ საბუთებს აგროვებს.

„სპარტაკს“ დღე-დღეზე ორი ფეხბურთელი უნდა შეუერთდეს, რომელთა ვინაობაც პრეზიდენტმა არ გაამხილა, თუმცა, ისევ ახალგაზრდული გუნდი გვეყოლებაო, გვითხრა ბოლოს როლანდ ჩხაიძემ.

ლუკა თალაკვაძე

ისლანდია	კონკაკაფის ოქროს თასი
პრემიერლიგის XI ტური	მეოთხედფინალი
ფრამი 0:4 რეიკიავიკი	მექსიკა 1:2 კოლუმბია
ფილადელფია — თროტური	პანამა — სამხრეთ აფრიკა
გვიან დამთავრდა	გვიან დამთავრდა

აქანაგური მატჩი

ბინფიკა (პორტუგალია) 0:1 ჩელსი (ინგლისი)

ანართოსისი ჯამარაულს ჯერ არ ერჩის

თემურ ქეცბაია: გიო კიდევ იქინქლაძეებს

თემურ ქეცბაიას, გიორგი ქინქლაძისა და გიორგი გაბიდაურის „ანართოსისმა“ წლევანდელი ევროფრონტი რიგიანად დაიწყო — ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მინსკის „დინამოს“ სტუმრად 1:1 ითამაშა. როგორც ბელარუსული წყაროები იტყობინებიან, მატჩის შემდეგ „ანართოსისის“ მოთამაშე-მწვრთნელ ქეცბაიას პრესკონფერენციაზე უთქვამს, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსები 60/40-ზეა ჩვენს სასარგებლოდო, რასაც ბელარუსები ერთობ გაულიზიანებია. მოკლედ, გუშინ ქეცბაიას დავურეკეთ კვიპროსზე და რამდენიმე კითხვა დავუსვით.



— მინსკური თამაშით კმაყოფილი დარჩით?

— რაც გვინდოდა, იმას მივაღწიეთ — სტუმრად ფრეს გამოვრჩით და გოლი გავიტანეთ. კმაყოფილები მართლაც ვართ, მაგრამ მინსკელებთან შინ ძნელი თამაში გველის. ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე ჩვენ უნდა გავიდეთ.

— „ანართოსისის“ ხელმძღვანელობამ ევროსარბიელზე რა მიზანი დაგისახათ?

— კონკრეტული არაფერი, რაც შეიძლება მეტი ეტაპი უნდა გადავლახოთო.

— ფამაგუსტაში მინსკის „დინამოსთან“ თამაშს 20 ივლისს ალბათ ბევრი გულშემატკივარი დაესწრება, რაც თამაშს გაგიადვილებთ...

— საქმე ისაა, რომ ფამაგუსტაში ვერ ვითამაშებთ. ჩვენს სტადიონს ახლა რეკონსტრუქცია უკეთდება და განათებაც არ აქვს ევროტურნირის შესაბამისი. ბელარუსებს ნიქოზიაში ვუმასპინძლებთ, სადაც რვა ათასამდე მაყურებელი ალბათ მოვა, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტი, რაც მინსკში იყო — ბელარუსის დედაქალაქში ჩვენს თამაშს სამი ათასამდე კაცი დაესწრო.

— გიორგი ქინქლაძეზე ჩვენში კვლავაც პოლემიკაა — შეუძლია თუ არა მას კვლავ მაღალ დონეზე თამაში. თითქმის ერთი წელია, რაც ის ფეხბურთს დაუბრუნდა და „ანართოსისშია“ — როგორ ფიქრობთ, მზად არის ქინქლაძე ნაკრებში თამაშისთვის?

— მინსკში ჩვენ სეზონის პირველი მატჩი ვითამაშეთ, თანაც ისეთ მეტოქესთან, შუა სეზონი რომ აქვს გახურებული. ჰოდა, დღესდღეობით ქინქლაძე საუკეთესო ფორმაში ვერ იქნება, კვიპროსის ჩემპიონატი აგვისტოს ბოლოს დაიწყება და გიოც მას შემდეგ მოუმატებს. 32 წელი ის ასაკია, ფეხბურთელი თავის საუკეთესო თვისებებს რომ ავლენს, ეს ადრე იყო, ამ ასაკში ფეხბურთელი ჩამოსაწერი რომ ხდებოდა. ერთი სიტყვით, ქინქლაძე მაღალ დონეზე თამაშს შეძლებს.

— გოჩა ჯამარაულზე „ანართოსისში“ რას ამბობენ, გუნდის თვითნებურად მიტოვებისთვის გოჩას რაიმე სანქციები ხომ არ ელის?

— თუ კაცს თამაში არ უნდა, მას კლუბი ვერც თბილისში და ვერც ვერსად გაეკიდება. თუ ჯამარაული სხვა გუნდში დააპირებს თამაშს, მაშინ „ანართოსისი“ ალბათ თავისას იტყვის.

დავით თავართქილაძე

ქართველების ტურშესვენება

ლაშა ჯაკობია ტაიმ-აუტის გარეშე

ბაბური კუბილავის ფოტო

ლაშა ჯაკობიამ უკრაინაში გოლის გემო გაიხსენა

მალხაზ ასათიანს „ლოკომოტივში“ ჩვეულად არ გაუბრწყინია, მაგრამ რკინიგზელებმა რომ ტომსკიდან ქულა წაიღეს, დიდწილად მისი დამსახურებაცაა. გასაკვირია, მაგრამ სწორედ ერთ-ერთი აუტსაიდერი „ტომი“ უფრო ძალაობდა მოგებისთვის, მალხაზმა კი მასპინძლებს ბოლო წუთზე იდეალური საგოლე მომენტი წაუხდინა. მახომ სრულად ითამაშა, მატჩის დებიუტში კი ყვითელ ბარათს გამორჩა, სამაგიეროდ, „ლოკომოტივი“ ახლა უფრო ყიჩადაა, მთავარმდევარმა ცსკა-მ წაგო და...

„ალანია“ იღბლიანობს, ჩვენიანების გუნდს რა ხანია არ წაუგია, გუშინ კი „კრილიას“ 2:0 მოუგო, თუმცა ვიტალი დარასელიამ „ტაიმ-აუტი“ აიღო და ამჯერად არ გაუტანია. ვიტალიც და ლადო ბურდულიც ძალიან აქტიურები იყვნენ, მათ 90 წუთი ითამაშეს, სხვა ქართველები კი „ალანიას“ თავკაცმა იცხაკ შუმმა მინდორს არ გააკარა.

ლაშა სალუქვაძის „რუბინს“ შინ ტოლ-მოცილე რომ არ უჩანდა, გუშინ „სატურნთან“ 0:0 ითამაშა, ლაშა სალუქვაძე კი თავის საქმეში პირნათელი იყო — ერთხელ გოლს გადაარჩინა თავისიანები.

„როსტოვში“ ახალგადასული მიხეილ აშვეთია ჯერ ვერ გოლაობს. მიხომ მოსკოვის „ტორპედოსთან“ 58 წუთი ითამაშა, მაინცდამაინც არ გაუთანგავს მეტოქის მცველები, თუმცა როსტოველთა ურუგვაელ პერესის გოლში კი მიიღო მონაწილეობა. აშვეთიას გასვლისთანავე დედაქალაქელმა ავტოქარხნელებმა საპასუხო შეაგდეს და დონისპირელები ბოლო ადგილზე გადაისროლეს. მოკლედ, გინდ აქედან მოუდექი, გინდ იქიდან, ჩვენებისთვის დიდად ბარაქიანი ვერ გამოდგა პრემიერლიგური ტური.

ეს, უკრაინაში კი მეორე ტური ჩათავდა და ორი მოგებით ცხრილში გალიდერდა ლაშა ჯაკობიას „ძენალისტი“. ხარკოველებმა „ვოლინი“ რიგის „კრივბასს“ 1:0 ავჯობეს და გოლი თქმა უნდა, ლაშამ გაიჯანა. მოედანი თამაში აწვალა ჩვენებურმა სტუმრებმა, 67-ე წუთზე კი პენალტი მოინდირა, თავადვე დარტყა, მეკარემ მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მაინც იყოჩალა ჯაკობიამ გოლის გატანა მასპერის ტაინზე გაძრობით ალნიშნა, რისთვისაც ბრაზმა ყვითელი ბარათი დაანახა. „კრივბასის“ ქართველმა ვასო გიგიაძემ კი ბოლო ნახევარი საათი ითამაშა, მაგრამ წინა ტურისგან განსხვავებით, უგოლოდ დაშრა.

ლევან ცქიტიშვილისა და გიორგი დემეტრაძის დონეცკის „მეტალურგი“ სტუმრად „ზაკარპატიას“ 0:0-ზე გაეყარა, არადა, „დემე“ რომ მიზანზე ყოფილიყო, დონბასელები სამ ქულას მიითვლიდნენ. ისე, მასპინძლების ყველაზე ბევრ პრობლემას სწორედ ქართველები უქმნიდნენ.

კიდევ ერთი „უკრაინელი“ ქართველი ირაკლი მოდებაძე კი ტრავმირებულია და ერთ კვირაში დაიწყების ვარჯიშს. წამყვანი ფორვარდის გარეშე კი ძალიან უჭირს ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, რომელმაც ლუცკის „ვოლინთან“ იჭაკა — 0:1.

ილია ნანოგაშვილი

ზურაბ ხიზანიშვილი „რეინჯერსის“ ახალწვეულ აპმედ ნამუშის დაუმეგობრდა

ხიზანიშვილი თვითმფრინავმა შეაწუხა

შოტლანდიამ იაშვილს ვადა დაუთქვა

გუშინწინ „რეინჯერსი“ გლაზგოდან ინბარგა და ბელფასტში გადაფრინდა — ჩრდილოირლანდიურ „ბელფასტს“ 2:0 მოუგო, ზურაბ ხიზანიშვილს კი არ უთამაშია.

„რეინჯერსი“ იუწყება, ხიზანიშვილი გუნდთან ერთად იყო ბელფასტში, მაგრამ თვითმფრინავით მგზავრობას შეუწუხებია, შეუძლოდ გამხდარა და ამიტომაც ვერ ითამაშო. „ბელფასტამდე“ გლაზგოელები ზავრების „დინამოს“ გაეჯიბრნენ და 0:1 წააგეს — ის მატჩი ხიზანიშვილმა სრულად ითამაშა.

რაც შეეხება 20 წლის თბილისის დინამოელ სანდრო იაშვილის „რეინჯერსში“ გადასვლას, ის ჯერაც ელის ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტის გადაწყვეტილებას. ახალი ამ საქმეში ისაა, რომ იაშვილს უკვე ვადა დაუთქვეს — 22 ივლისისთვის პასუხი აუცილებლად გამომზეურდება — ან კი, ან არა.

ნიკა ჯორჯაძე

ბორჯომი ქუთაისიდან ივსება



ფოტო: ფეხბურთელთა ფოტო



ბადრი კვირკელიას ფოტო

რევაზ ჯიქია და კობა შალამბერიძე ახალ სეზონს, ალბათ, „ბორჯომში“ დაიწყებენ

„ბორჯომი“ ყველანირ გზებს ეძებს, რათა პირველ უმაღლესიგურ სეზონში ღირსეულად ითამაშოს. სოსო ფრუიძის გუნდმა რაც ამ ზაფხულს ტრანსფერები გაახერხა, თბილისის „დინამოს“ გარდა ვერავინ დაიკვეხნის. ქართლელებმა სეზონისწინა მზადება თბილისში დაიწყეს, ახლა კი ბათუმში არიან და ტესტ-მატჩებს ხომ მართავენ, თან ახალ-ახალ ფეხბურთელებს ელიან.

„ბორჯომის“ კაპიტანმა, 37 წლის იური გაბისკირიამ ხუმრობით, ნახევრად ხუმრობით თუ სერიოზულად თქვა, „დინამოს“ კონკურენტი ხომ უნდა ჰყავდეს, ჰოდა, ჩვენც ვძლიერდებითო. როგორც მისგან შევიტყვეთ, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ბორჯომში“ გადავლენენ ქუთაისის ტორპედოელები — თავდამსხმელი რევაზ ჯიქია და ნახევარმცველი კობა შალამბერიძე. შეგახსენებთ, შალამბერიძის დამატება ადრეც სურდა სოსო ფრუიძეს.

სავარაუდოდ, ეს ორივე ფეხბურთელი ბატე — „ტორპედოს“ 28 ივლისის საუეფასთასო მატჩში ითამაშებს, მერე კი ბორჯომისკენ გზა ხსნილია. მათ გარდა ქართელებს ქუთაისიდან მცველი დავით ბაქრაძეც დაუბრუნდებათ, რომელიც დროებითაა ოთარ გაბელიას გუნდში, ისე კი „ბორჯომთან“ უკვე კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

ბათუმის შეკრებაზე კი ფრუიძის გუნდმა მასპინძლებს 2:1 მოუგო გვირჯიშვილისა და ბურნაძის გოლებით. უახლოეს დღეებში ბორჯომელები ბოლნისის „სიონსა“ და თელავის „კახეთს“ შეხვდებიან.

და ბოლოს: უმაღლესი ლიგის დებიუტანტი სამნაო მატჩებს თბილისში გამართავს. გორის ვარიანტი გამორიცხა — იქ „თენგიზ ბურჯანაძე“ „დელას“ უკავია, „ქართლი“ კი „ცხინვალს“.

გაბისკირიამ გვითხრა, ალბათ, ისანში, ოლიმპის სტადიონზე ვითამაშებთ, თუმც დაზუსტებით ჯერ არ ვიცი. აქვე ვთქვათ, „თბილისიც“ „ოლიმპზე“ იბურთავებს, ოღონდ ოქტომბრამდე — სანამ თბილისელები იაკანთ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში სტადიონს მოაწესრიგებენ.

ილია ნანოგაშვილი

ამერის აზერბაიჯანულ-ახალგაზრდული

ბადრი კვირკელიას ფოტო

სულიკო დავითაშვილი ჩვეულ ამპლუაშია: ორი გოლიც „გენჩლერბირლიგს“

აზერბაიჯანში, ქუბის ოლიმპიურ კომპლექსში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ამერმა“ გუშინ მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — ჩვენებურთა მეტოქე აზერბაიჯანის უმაღლესლიგელი სუმგაითის „განჩლერბირლიგი“ იყო — „ამერმა“ 3:0 გაიმარჯვა, გოლები სულიკო დავითაშვილმა (10, 84წთ) და რატი წინამძღვრიშვილმა (15) გაიტანეს. მოგეხსენებათ, „გენჩლერბირლიგი“ თურქეთში, ანკარაშიცაა და ჩვენებურად ახალგაზრდულ კავშირს ნიშნავს.

პირველი ტაიმი ამერელთა დიდი უპირატესობით წარიმართა, მარტო წინამძღვრიშვილმა სამი საგოლე შანსი გააცუდა. შესვენების შემდეგ აზერბაიჯანელები გააქტიურდნენ, თამაში გათანაბრდა, სახიფათო მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ სუმგაითელები ვერაფერს გამორჩნენ. საიმედოდ გაისარჯა „ამერის“ მეკარე ლადო ნადირაშვილი. მომდევნო აზერბაიჯანულ მატჩს „ამერი“ 20 ივლისს გამართავს, მეტოქე კი ჯერჯერობით უცნობია.

გუშინ „ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნადირაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი (ელბაქიძე 46), ბერიანიძე (გვაძაბია 84), კვახაძე (მჭედლიშვილი 52), სილაგავა (დობროვოლსკი 60), კანდარაშვილი (ნიკოლაიშვილი 86), დეკანოსიძე (გ. ჩხეტიანი 60), კოშკაძე (გელაშვილი 84), დავითაშვილი (ეარამიშვილი 84), წინამძღვრიშვილი (ნადირაძე 79)*

ლუკა თალაკვაძე

ვებსაიტური ამბები გერმანიიდან

ალექსანდრე იაშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი“ სამეორეებუნდესლიგოდ ემზადება — ფრაიბურგელები ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ ლანგეუგზე იყვნენ, ხოლო გასულ უქმეებზე ბლიცტურნირში ითამაშეს — გერმანიის პატარა ქალაქ ვალდბრონში ხელი მოეცარათ.

ტურნირში ოთხი გუნდი მონაწილეობდა: „ფრაიბურგი“, „ალემანია“, „კარლსრუე“ და ბელგრადის „პარტიზანი“, მატჩები ერთტაიმიანი, 45 წუთიანი იყო.

„ფრაიბურგი“ პირველ შეხვედრაში „პარტიზანს“ გადაეყარა. სერბებმა ოდიტა ობიორას ერთადერთი გოლით იმარჯვეს. ბურთი „ფრაიბურგმაც“ შეაგდო — იაშვილმა ვოლფრედ სანუსთან კარგად გაათამაშა კომბინაცია და კარშიც უნაკლოდ დაარტყა, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. ნამატჩევს „ფრაის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ განაცხადა კიდეც, ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალესო. „ფრაიბურგის“ ვებ-საიტის ცნობით, გუნდმა და იაშვილმაც საკმაოდ კარგად ითამაშეს.

შეგახსენებთ, ხიზანეიშვილი ნაოპერაციევია და შემოდგომამდე კარ ითამაშებს. „ფრაიბურგს“ დაშვებული სხვებიც ჰყავს — მეკარე რიხარდ გოლცი, მცველი ბუბაქარ დიარა და ნახევარმცველი სამი რიტერი.

ლევან კობიაშვილის „შალკეს“ ტესტ-მატჩში ავსტრიულ „ცარცერთან“ წააგო 1:2 „ხუმარაიაკარ“ გოლი გერალდ ჰალსნეგერმა შეაგდო. კობიაშვილმა მატჩი სრულად ითამაშა და ორი კარგი მიძღვნა გაანიავა — იუწყება „შალკეს“ ვებ-გვერდი.

ნიკა ჯორჯაძე

გასარკვევი გაირკვა: კოლხთა საჭე ფილიასია



ფოტო: ფეხბურთელთა ფოტო



ბადრი კვირკელიას ფოტო

სერგო გაბელაიას ნაცვლად „კოლხეთს“ სოსო ფილია გაწვრთნის

ფოთის „კოლხეთში“ არეულდარეულ სიტუაციას, როგორც იქნა, ნათელი მოეფინა. ავერ, რამდენი ხანია, ვერავის გაერკვია, ვინ უპატრონებდა კლუბს, ვინ იქნებოდა გუნდის მთავარი მწვრთნელი. პარასკევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს კლუბების ხელმძღვანელებთან რომ ჰქონდა შეხვედრა, იქ „კოლხეთისგან“ ასეთი სიტყვა ითქვა — უმაღლეს ლიგაში უპრობლემოდ ვითამაშებთ, ფინანსური გარანტიები წარდგენილი გვაქვსო.

კლუბს ფოთის მერია და საკრებულო შეინახავს, ფოთის პორტი კი ამ საქმეში არ ჩაერევა. „კოლხეთს“ სოსო ფილია გაწვრთნის, რომელიც გასულ სეზონში რეგიონალლიგელ და აწ პირველლიგელ „სენაკურს“ თავკაცობდა. რამდენიმე დღის წინ ფილიამ თქვა, თუ „კოლხეთს“ ფული არ ექნება, ისევ სენაკში დაებრუნდებიო. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ფული გაჩნდა, ფილიამ კი ამ პოსტზე სერგო გაბელაია შეცვალა.

გუშინ გაბელაიას დავუკავშირდით და მან გვითხრა, ფოთში კი ვიყავი, მაგრამ არავისთან არ მილაპარაკია, გუნდს უკვე ფილია წვრთნიდა და მეც წამოვედიო. „კოლხეთიდან“ ის ფეხბურთელებიც წავიღნენ, რომლებიც გაბელაიას თავის დროზე ჩაიყვანა ფოთში.

„ჯერ მხოლოდ ორი-სამი დღეა, რაც უმუშევარი ვარ. იმედია, რომელიმე გუნდს გავწვრთნი“ — გვითხრა „კოლხეთის“ უკვე ექსთავკაცმა.

ილია ნანოგაშვილი

ქართული მიდი-მოდი

გუნდები	მოვიდნენ	წავიდნენ	სეზონისწინა მატჩები
დინამო თბილისი	ნერგაძე (ტორპედო), მეგრელაძე (ტორპედო), სტურუა (ლოკომოტივი), ბობოხიძე (ლოკომოტივი), თოთლაძე (ბათუმი), ქემოკლიძე (თბილისი), აკობია (კოლხეთი), *დარსანია (ჩერნო მორე, ბულგარეთი)*	კ. შალამბერიძე (ტორპედო), კაკალაძე (ტორპედო), ლ. ქელიძე (კაუნასი, ლიტვა), ქუცურუა (სიონი), დვალი (სიონი), მარკოზაშვილი (სიონი), კვიტაიშვილი (კახეთი), შეყრილაძე (ლოკომოტივი), ჯამარაული (?), მამალაძე (ბორჯომი), კუნეგატრო (?, ბრაზილია), რომერო (?, ბრაზილია), სილაგაძე (?), ქიქვეიშვილი (?)	ფორტუნი (გერმანია) 5:1 ჰალბერონი (გერმანია) 5:0 რადოსფელდი (გერმანია) 8:1 სენტ გალენი (შვეიცარია) 1:1 გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0 შაფჰაუზენი (შვეიცარია) 1:2 ლუგანი (ესტონეთი) 0:1
ტორპედო ქუთაისი	კ. შალამბერიძე (დინამო), კაკალაძე (დინამო), ზ. ჩხეტიანი (ზესტაფონი)	ნერგაძე (დინამო), მეგრელაძე (დინამო), კოშკაძე (ამერი), მემარნიშვილი (ბორჯომი), *მერლანი (?)*	ბატე 0:1
თბილისი თბილისი		გრიშიკაშვილი (ბაკი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე (დინამო), მიქიაშვილი (ბორჯომი), გენაძე (ბორჯომი), ლილუაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), *ლუის ცაკარიასი (მთავარი მწვრთნელი), იაშვილი (რეინჯერსი, შოტლანდია), მესხი (ბორჯომი)*, მ. ჯიქია (ბორჯომი), აფციაური (ბორჯომი), ფიფია (?), ხიდეშელი (კახეთი)	სიონი 4:3
ლოკომოტივი თბილისი	შეყრილაძე (დინამო), საჯაია (უგუნდო), ფურთუხია (ზესტაფონი), გიზო შენგელია (კოლხეთი), სირაძე (ტრირი, გერმანია), ინომოვი (ფახთაქორი, უზბეკეთი)	ბობოხიძე (დინამო), სტურუა (დინამო), მანჩხავა (კაუნასი, ლიტვა), მძინარიშვილი (კახეთი), სანიკიძე (აქტობე, ყაზახეთი)	სიონი 6:1, ტირანა (ალბანეთი) 4:3 დიარბაქირი (თურქეთი) 0:4 ქაისერი (თურქეთი) 0:3 ბანანცი (სომხეთი) 3:2
ზესტაფონი ზესტაფონი	გუშარაშვილი (ბათუმი), *ლაფერაშვილი (ნიუნბერგი-მოყვ.)*	გუჩუა (სოხუმი), მამარდაშვილი (ბორჯომი), ფურთუხია (ლოკომოტივი), *ზირაქიშვილი (ინტერი, აზერბაიჯანი), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), სომხიშვილი (?)*	
ვიტ ჯორჯია თბილისი	მუმლაძე (მთავარი მწვრთნელი), ჯანელიძე (მწვრთნელი)	ინწკირველი (კარვანი, აზერბაიჯანი), ჭურაძე (?), ვ. გოჩაშვილი (ბორჯომი), გ. კვახაძე (ამერი)	ლომბარდ პაპა (უნგრეთი) 1:2, 0:1 რუსთავი 1:0 სპარტაკი 2:0
დინამო ბათუმი	წუწუნავა (ტორპედო), ექონია (ლოკომოტივი)	თოთლაძე (დინამო), ხმალაძე (სიონი), ჩოხელი (ბორჯომი), ბეგლარ თედორაძე (სიონი), გუშარაშვილი (ზესტაფონი), სოღოლაშვილი (ცხინვალი), ხუჯაძე (?), ხომერიკი (?)	კახეთი 0:2 ბორჯომი 1:2
სიონი ბოლნისი	ქასრაშვილი (მთავარი მწვრთნელი), დვალი (დინამო), ქუცურუა (დინამო), ხმალაძე (ბათუმი), კაკაშვილი (ჩერნო მორე), მარკოზაშვილი (დინამო), მერებაშვილი (უგუნდო), დ. ხანიშვილი (დილა), კ. ხანიშვილი (დილა), კუკულაძე (გურია), დონდოლაძე (სპარტაკი), მიკუჩაძე (კოლხეთი)	რუსია (სოხუმი), უგრეხელიძე (სოხუმი), დათვაძე (?), ისიანი (კარიერა დაასრულა), სიდამონიძე (?), ვაშაკიძე (?), ბ. შენგელია, ა. ლაბაძე (ორივე სოხუმი)	ლოკომოტივი ხრ, ბორჯომი 0:5, თბილისი 3:4, სოხუმი 0:2, ამერი 0:2, სპარტაკი ხ0, კახეთი 1:2
კოლხეთი ფოთი	ფილია (სენაკური, მთ. მწვრთნელი)	კუნჭულია (კახეთი), გიზო შენგელია (ლოკომოტივი), ჯ. შალამბერიძე (სოხუმი), თაყაძე (ცხინვალი), აკობია (დინამო), ბათიაშვილი (?), მიკუჩაძე (სიონი), გაბელაია (?, მთ. მწვრთნელი)	
დილა გორი	*ხაჩიძე (მთავარი მწვრთნელი)*	მამესწარაშვილი (მთავარი მწვრთნელი), თ. ილურიძე (ცხინვალი), მაისურაძე (ცხინვალი), **ბ. ჩიტაია (ცხინვალი), გ. ჩიტაია (ცხინვალი), სულთანიშვილი (ცხინვალი)**, ლ. გოჩაშვილი (ცხინვალი), ხაჭაპურიძე (ცხინვალი), ლ. თურმანიძე (ცხინვალი), დ. ნადირაძე (ცხინვალი), რევაზიშვილი (ცხინვალი), ა. ლაბაძე (ცხინვალი), კ. ხანიშვილი (სიონი), დ. ხანიშვილი (სიონი)	
ამერი თბილისი	ტატანაშვილი (სპარტაკი), ნიკურაძე (კტპ, ფინეთი), გ. კვახაძე (ვიტ ჯორჯია), კოშკაძე (ტორპედო)	ზ. ჯელაძე (?), გ. ჯელაძე (?)	გაგრა 0:1 სიონი 2:0 სოხუმი 3:2 შაჰდაღი 1:0 გენჩლერბირლიგი (სუმგაითი) 3:0
ბორჯომი ბორჯომი	მამალაძე (დინამო), მამარდაშვილი (ზესტაფონი), აფციაური (თბილისი), მ. ჯიქია (თბილისი), ჩიგოშვილი (?), ქორიძე (ოლიმპიაკოსი, კვიპროსი), მიქიაშვილი (თბილისი), გენაძე (თბილისი), მემარნიშვილი (ტორპედო), ჩოხელი (ბათუმი), მესხი (თბილისი), ვ. გოჩაშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ჯიქია (ტორპედო)	*კვეკვესკირი (სოხუმი), ლაბაძე (?), ვოლკოვი (?), ჯანაშია (?), ვარდიაშვილი (?), მუმკუდიანი (?), ნოზაძე (?), როსტიაშვილი (?), ნივწიკაძე (?)*	სიონი 5:0, სოხუმი 0:1 ბათუმი 2:1
დინამო სოხუმი	ფორფოლიანი (მთავარი მწვრთნელი), კვეკვესკირი (ბორჯომი), გუჩუა (ზესტაფონი), რუსია (სიონი), უგრეხელიძე (სიონი), ჯ. შალამბერიძე (კოლხეთი), *გადელია (უგუნდო)*, ყვანია, ჯანგიძე (ორივე სპარტაკი), სეფიაშვილი (მერანი), ა. ლაბაძე, ბ. შენგელია (ორივე სიონი), ჩომახიძე (ჩიხურა), გ.ჩხაიძე (ჩიხურა)		ბორჯომი 1:0, სიონი 2:0
კახეთი თელავი	კვიტაიშვილი (დინამო), კუნჭულია (კოლხეთი), მძინარიშვილი (ლოკომოტივი), ზ. ლაბაძე (რუსთავი), ხიდეშელი (თბილისი)		ბათუმი 2:0 სიონი 2:1
ცხინვალი ცხინვალი	მაისურაძე (დილა), თ. ილურიძე (დილა), სულთანიშვილი (დილა), ხაჭაპურიძე (დილა), ლ. თურმანიძე (დილა), დ. ნადირაძე (დილა), რევაზიშვილი (დილა), ბ. ჩიტაია (დილა), ა. ლაბაძე (დილა), გ. ჩიტაია (დილა), ლ. გოჩაშვილი (დილა), ნაყოფია (?), გამცემლიძე (?), თაყაძე (კოლხეთი)		
სპარტაკი თბილისი	გ. იმნაძე (მთავარი მწვრთნელი)	ბ. შეროზია (მთავარი მწვრთნელი), ტატანაშვილი (ამერი), დონდოლაძე (სიონი), ჯანგიძე, ყვანია (ორივე სოხუმი)	სიონი 0:1 ვიტ ჯორჯია 0:2

მუქი შრიფტით: გადაწყვეტილი ტრანსფერი, ღია შრიფტით: თითქმის გადაწყვეტილი ტრანსფერი, დახრილი შრიფტით: საეჭვო ტრანსფერი



„არსენალს“ ამიერიდან ტიერი ანრი უკაპიტნებს

არსენალის ფრანგული მკლავი

ანრიმ ვიეირა შეცვალა

„არსენალიდან“ პატრიკ ვიეირას წასვლის გამო კაპიტნის „დაობლებული“ სამკლავური ტიერი ანრის ერგება. „მეთოფეთა“ თავკაცმა არსენ ვენგერმა ასე გადაწყვიტა და ინგლისურ კლუბს კვლავ ფრანგი უკაპიტნებს.

27 წლის ანრი 1999 წელს 10 მილიონ 500 ათასი გირვანქის სანაცვოდ „არსენალში“ „იუვენტუსიდან“ გადავიდა. არსენ ვენგერის გუნდში მან 181 გოლი გაიტანა და ლეგენდარული იან რაიტის რეკორდამდე (185) ოთხიღა უკლია.

ვიეირას გაყიდვით წელგამართულმა „არსენალმა“ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელთან გაახანგრძლივა კონტრაქტი — ხოსე ანტონიო რეიესი 2011, ხოლო გაელ კლიჩი 2010 წლამდე დარჩება ლონდონურ კლუბში.

„ჰაიბერიზე“ გატარებული ერთი სეზონის შემდეგ რეიესმა დაიჩივლა, აქაურობასთან შეგუება გამიჭირდაო და თითქოს მადრიდის „რეალი“ აპირებდა მის ყიდვას, მაგრამ ესპანელმა მაინც „არსენალს“ უერთგულა.

ამ დღეებში ახალ კონტრაქტს ალბათ ეშლი კოულიც გააფორმებს, რომლის გადაბირებასაც მოგეხსენებათ, „ჩელსი“ ცდილობდა.

ვაჟა ხუციშვილი



იონ დალ ტომასონი ამიერიდან ძალებს გერმანული ბუნდესლიგაში სცდის

ტრაპატონიმ ტომასონი მოიპარა

იყო ბენფიკა, გახდა შტუტგარტი

დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი, რომელიც ყველას უკვე „ბენფიკაში“ გვეგონა, მომავალი სეზონიდან „შტუტგარტში“ ითამაშებს. გერმანელებმა ბოლო მომენტში „მილანს“ უკეთესი წინადადება შესთავაზეს და ლისაბონურ კლუბს სკანდინავიელი ცხვირწინ აცალეს. ეს სწორედ „ბენფიკას“ ყოფილ და „შტუტგარტის“ ამჟამინდელ თავკაც ჯოვანი ტრაპატონის ინიციატივით მოხდა. გამოცდილი სპეციალისტი შენაძენით ძალიან კმაყოფილია. სკანდინავიელი „შალკეში“ გადასული კევინ კურანის ადგილს დაიკავებს. სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ტომასონი თავის ახალ კლუბთან ოთხლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს, „მილანის“ ბიუჯეტი კი 7 მილიონი ევროთი შეივსება.

ჯოვანი ტრაპატონი: „იონ დალ ტომასონი მაღალი კლასის, ძალიან გამოცდილი ფორვარდია. მან სერია **A**-ში შეძლო დამკვიდრება, რაც მრავლისმეტყველია. მოხარულები ვართ, რომ ასეთი მოთამაშით გავძლიერდით“.

„ვადასტურებთ ინფორმაციას, იონ დალ ტომასონის „შტუტგარტში“ გადასვლის შესახებ. დიდ მადლობას ვუხდით ფეხბურთელს იმ მნიშვნელოვანი დახმარებისთვის, რომელიც მან კლუბს გაუწია“ — ნათვამია „მილანის“ ოფიციალურ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ იონ დალ ტომასონი „როსონერიში“ 2002 წელს „ფეიენოორდიდან“ გადაბარგდა თავისუფალი აგენტის სტატუსით და სერია **A**-ში ჩატარებულ 75 მატჩში მან 22 გოლის გატანა შეძლო.

გიორგი კაკაბაძე

ლე ავრიდან ლონდონში

შონ რაიტ-ფილიპსიც ჩელსიში გადავიდა

„მანჩესტერ სიტის“ ნახევარმცველი შონ რაიტ-ფილიპსი ლონდონურ „ჩელსიში“ გადავიდა. გასულ პარასკევს, მანჩესტერელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი გირვანქა გაუმზადეს, მაგრამ თვითონ რაიტ-ფილიპსმა იუარა, გუშინ კი სხვა ხასიათზე გაიღვიძა და ლონდონში გადასვლაზე დაყაბულდა. ჯერჯერობით უცნობია, „მანჩესტერ სიტი“ 20 მილიონს მიიღებს თუ უფრო მეტს. „ჩელსის“ პრესმდივანის თქმით, ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, მისი სატრანსფერო ფასიც გაცხადდება და ჯამაგირის ოდენობაც.

მანამდე კი ინგლისის ჩემპიონმა საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და „ლე ავრის“ ნახევარმცველი ლასანა დიარა შეიძინა. რომან აბრამოვიჩს ეს გარიგება 3 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ჯოზე მაურინიუმ დიარა ივნისში, ტულონში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ნახა და ისე მოიხიბლა მისი თამაშით, რომ გუნდში მიიწვია. ამ თვის დასაწყისში ფეხბურთელმა „ჩელსისთან“ ერთად ერთი კვირა ივარჯიშა და პორტუგალიელმა მწვრთნელმაც ფრანგის ყიდვა გადაწყვიტა.

„ჩვენ გვსურდა, მისი დატოვება კიდევ ერთი წლით, მაგრამ არ დაგვანებეს — განაცხადა „ლე ავრის“ პრეზიდენტმა ჟან-პიერ ლუველმა — მაურინიუმ მითხრა, რომ დიარა კლოდ მაკელელეს შემცვლელად უნდა“.

თვითონ ფეხბურთელი კი პრემიერლიგის ჩემპიონ გუნდში გაიცებულ-გახარებულია: „ერთ სეზონში „ლე ავრის“ სათადარიგოებიდან ძირითად შემადგენლობაში მოვხვდი, მერე უცბად 21-წლამდელთა ნაკრებში, ახლა კი „ჩელსიში“ ვარ თავი სიზმარში მგონია“.

მოკლედ, დიარა ილლად იყიდეს. სამაგიეროდ მიკაელ ესიენის ტრანსფერი გაუჭანჯლდათ. „ლიონი“ ფრანგი ნახევარმცველის სანაცვლოდ „ჩელსისგან“ 30 მილიონ გირვანქას ითხოვს, ხოლო ლონდონელები თვრამეტს იხდიან. „ლიონი“ ამჟამად კორეაშია. მაკელელ ესიენს კი უთქვამს, რომ უახლოეს დღეებში ჩელსელი გაუხდებაო.

„კლუბის პატრონს რამდენჯერმე ვუთხარი, აქ გამჩერებელი ალთი ვარ-მეთქი და თავადაც არ უნდა სურდეს ისეთი ფეხბურთელის დატოვება, რომელიც გუნდზე გულაყრილი იქნება“ — შეუოკალა ფრანმიშელ ოლას, „ლიონის“ პრეზიდენტს ესიენმა.

ვაჟა ხუციშვილი

„ჩელსის“ ორი ახალწვეული — შონ რაიტ-ფილიპსი და ლასანა დიარა

ევერტონს დაცვა სჭირდება

კოკო ახლოსაა, ფერარი — შორს

უკვე გაუწყეთ, რომ ინგლისურ „ევერტონს“ დაცვაში გარკვეული პრობლემები აქვს და მათ მოგვარებას ჩქარობს. პრემიერლიგის დაწყებამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და მალე ლივერპულელებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც მოუწევთ ჩაბმა. ამჟამად „გუდისონ პარკის“ ბანდრები სასურველ მცველს სერია **A**-ში ეძებენ.

გავრცელებული ცნობით, ლივერპულელები ძალიან ახლოს არიან ფრანჩესკო კოკოს შეძენასთან, თუმც თუ „ტკბილეულებს“ საკმარისი ფული არ აღმოაჩნდათ, ერთ დროს პაოლო მალდინის მემკვიდრედ მიჩნეულ მცველს ალბათ არენდის წესით დაიმატებენ.

მოგეხსენებათ, „მილანისა“ და „ბარსელონას“ ყოფილმა მცველმა, „ინტერის“ რიგებში დამკვიდრება ვერაფრით შეძლო. შემდეგ საკმაოდ სერიოზული ტრავმაც მიიღო და „ნეროაძურის“ ტაქტიკური მონახაზიდან საერთოდ ამოვარდა. იგი არც ამჯერად შედის რობერტო მანჩინის გეგმებში და გასაკვირი არ არის, რომ გუნდის გამოცვლის სურვილი თავადაც აქვს.

„ევერტონს“ ამ ტრანსფერში „ბოლტონიც“ ეცილება. ყველაფერი კი საბოლოოდ კვირის ბოლომდე გაირკვევა.

„ტკბილეულებს“ მეორე იტალიელი მცველი, მატეო ფერარიც შეუგულებიათ. პერსპექტიული ფეხბურთელის გადაბირება ლივერპულელთა თავკაც დეივიდ მოიესს ძალუწადინებია, თუმც ამ შემთხვევაში ტრანსფერი თითქმის შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერში“ გადასვლის შემდეგ „ბარის“ ყოფილი კაპიტნისგან აზრდილია დარჩენილი, მას მაინც არ სურს „სტადიო ოლიმპიკოს“ დატოვება. თანაც „ვალადოლიდელებს“ ჯერაც სატრანსფერო ემბარგო ადეკვეთ და ამ-ეცემათ თუ არა ყიდვა-გაყიდვის უფლება, ოთხშაბათს გაირკვევა.

გარდა ამისა, ფერარის შეძენაზე „ფიორენტინაც“ ფიქრობს. ფლორენციელთა თავკაც ჩეზარე პრანდელის თავისი ყოფილი შეგირდის, „არტემიო ფრანკიზე“ გადაყვანა უნდა, თუმც „იებს“ საბოლოოდ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

„კლუბები“ უკვე შეხვდნენ ეროომანეთს და „ევერტონს“ ჩეში კლიენტის შეძენა სურს, თუმც თავად მას არ უნდა „სტადიო ოლიმპიკოს“ დატოვება. იგი აპირებს, დაამტკიცოს, რომ ისევ ის ფერარია. მაგრამ „რომას“ პოზიცია ალბათ გადამწყვეტი იქნება. როგორც იცით, მისით „ფიორენტინაც“ დაინტერესებულია და თუ მატეო არნეკინის წინაშე დადგა, იგი სწორედ ფლორენციაში გადასვლას ამჯობინებს“ — თქვა ფერარის აგენტმა ჯოვანი კორჩიმ.



ფრანჩესკო კოკო კარიერას სავარაუდოდ, ალბიონზე გააგრძელებს

გიორგი კაკაბაძე

ბარსამ კარი ჩარაზა

კატალონიური „ბარსელონა“ წამყვან ფეხბურთელებთან კონტრაქტის გახანგრძლივებას განაგრძობს. ეტოოს, დეკოსა და ხავის შემდეგ ვიქტორ ვალდესის ჯერიც დადგა. 23 წლის კოლკიპერი ამიერიდან 2010 წლამდე „ბარსას“ საკუთრებაა, ხოლო თუ ვინმეს მისი შეძენა მოუნდება, 100 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ჭორები, „ბარსელონა“ ახალ, უფრო სახელიან და გამოცდილ გოლკიპერს იყიდის, ხოლო ვალდესი გუნდს დატოვებსო, თუმც კატალონიელებმა ამ მითქმა-მოთქმას მალევე დაუსვეს წერტილი.

„ეს ჩვენი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. კლუბის შორეულ მომავალზე აქედანვე ზრუნვა არანაკლებ მნიშვნელოვანია. ვალდესი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და მასთან განშორებას არ ვაპირებთ. იგივე აზრზეა თავად ვიქტორიც. მოგეხსენებათ, მეკარესთან დაკავშირებული პრობლემები მრავალი წლის მანძილზე გვქონდა, მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა“ — თქვა „ბარსელონას“ ტექნიკურმა მდივანმა ჩიკი ბეგირისტაინმა.

გიორგი კაკაბაძე

ჯონ ალოიზი

ალოიზი ალავესისთვის გაიტანს

ავსტრალიელი ფორვარდი ჯონ ალოიზი, რომელმაც კონფედერაციათა თასზე კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი, მომავალ სეზონში პრემერადივიზიონში დაბრუნებული „ალავესის“ ღირსებას დაიცავს.

მას „ოსასუნასთან“ კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა და თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ „პანათინაიკოსში“ გადაბარგდებოდა, თუმც ბერძნები ალოიზის სათამაშო ფორმითა და მუხლის ტრავმით უკმაყოფილონი დარჩნენ. შესაბამისად, ტრანსფერი ბოლო მომენტში ჩაიშალა.

მერე ალოიზი ათენიდან პამპლონაში დაბრუნდა და „ოსასუნასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაიწყო მოლაპარაკება, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე. ინგლისური „პორტსმუთი“ და „სანდერლენდიც“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ვიტორიელებმა ყველაზე ბურთელს უკეთესი პირობები შესთავაზეს.

„პრემერადივიზიონში „ალავესი“ ახალი კლუბია, თუმც გუნდს დიდი ტრადიციები და ისტორია აქვს. ჩემი აზრით, ეს მშვენიერი ადგილია გოლების გასატანად. ძალიან კმაყოფილი ვარ“ — მოკლედ განაცხადა ჯონ ალოიზმ.

გიორგი კაკაბაძე

ფულემში უკვე ორი ინგლისელია



ნიკლას იენსენი

ინგლისურმა „ფულემმა“ დანიელი ნახევარმცველი ნიკლას იენსენი დაიმატა. ლონდონელებმა „დორტმუნდს“ დაახლოებით 750 ათასი გირვანქა გადაუხადეს და 31 წლის სკანდინავიელთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

ნიკლას იენსენს ნისლიან ალბიონზე აქამდეც უბურთავია — „დორტმუნდში“ გადასვლამდე წელიწადნახევრის მანძილზე იგი „მანჩესტერ სიტიში“ ირიცხებოდა.

„სატრანსფერო ბაზარზე ყველაფერი კარგად მიდის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც მხარში მიდგას და ყველანაირად მიწყობს ხელს. ცხადია, იენსენის მოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ“ — თქვა „ფულემის“ მთავარმა მწვრთნელმა კრის კოულმენმა.

აქვე ვთქვათ, რომ ნიკლას იენსენს არანაირი ნათესაური კავშირი არა აქვს „ფულემში“ უკვე მოთამაშე კლაუს იენსენთან.

პარალელურად, ლონდონელთა თავკაცი სტივ მარლეს ესაუბრა და აუხსნა, რომ გუნდში მისი ადგილი არ არის. ფრანგი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „მარსელში“ იყო განთხოვრებული, მაგრამ „სტად ველოდრომის“ ბინადრებს ასევე აღარ სურთ მასთან მუშაობის გაგრძელება.

ამჟამად სტივ მარლე „ლე მანის“, „ოსერის“, „ლილის“, „ნიუკასლის“, „ჩარლტონისა“ და რამდენიმე ყატარული კლუბის წინადადებას განიხილავს.

„ნიუკასლს“ კი „ფულემის“ პორტუგალიელი შემტევი ნახევარმცველის, ლუიშ ბოა მორტეს შეძენა უნდა. „კაჭკაჭები“ მზად არიან, მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. ამან ლონდონელთა თავკაცი ძალიან გააღიზიანა და „ჯორდებს“ ცოტა არ იყოს, აგრესიული განცხადებით უპასუხა.

კრის კოულმენი: „თუ მათ ბოა მორტეს შეძენა უნდათ, დიდი ფულის გადახდა მოუწევთ, ამ ფასად მის ბუცებსაც კი ვერ იყიდიან. „ნიუკასლს“ მოსაფიქრებლად ერთ კვირას ვაძლევ. თუ სერიოზული წინადადებისთვის მზად არ არიან, ჯობია გაჩერდნენ და მოგვცენ საშუალება, მშიდად მოვემზადოთ“.

გიორგი კაკაბაძე

ისევ სერია, ისევ ჩაწყობა...

იტალიურ ფეხბურთში ახალი სკანდალი მწიფდება. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია „ჯენოასა“ და „ვენეციას“ მატჩის ჩაწყობაში ადანაშაულებს. თუ ბრალდება დამტკიცდა, ორივე კლუბს სერიოზული სასჯელი ელის.

საუბარია გასულ სეზონში, სერია B-ს ბოლო ტურის მატჩზე, რომელშიაც „ჯენოამ“ „ვენეციას“ სძლია და ამ გამარჯვებით ელიტარულ ლიგას დაუბრუნდა. გენუელთა მხრიდან თამაშის ჩაწყობაში ეჭვმიტანილები არიან: კლუბის მმართველი ენრიკო პრეციოსი, მისი ვაჟი მატეო და დირექტორი სტეფანო კაპოძუკა. ხოლო ვენეციელთა მხრიდან: გუნდის მფლობელი ფრანკო დალ ჩინი, გენერალური დირექტორი მიკელე დალ ჩინი და ერთ-ერთი დირექტორი ჯუზეპე კალიარა. ასევე ფეხბურთელები — მარტინ ლეისალი და მასიმო ბორგობელო.

ეჭვი მას მერე გაჩნდა, რაც პოლიციამ კლუბების ჩინოვნიკებისა და ფეხბურთელების სატელეფონო საუბრებს მოუსმინა. ჯერჯერობით ორივე გუნდი ყველა ბრალდებას უარყოფს, თუმც გამოძიება მიმდინარეობს.



ეჭვმიტანილია გარიგებაში: ენრიკო პრეციოზი

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში გუნდებს ქვედა ლიგაში ჩანაცვლება, საუკეთესო შემთხვევაში კი ქულების დაკლება ემუქრებათ.

გიორგი კაკაბაძე

ალმასიანი ჩაქუჩი
ბენაიუნი ბერკოვიჩმა მოთაფლა

იოსი ბენაიუნი

ისრაელის ნაკრებისა და სანტანდერის „რასინგის“ ნახევარმცველი იოსი ბენაიუნი „ვესტ ჰემში“ გადავიდა. ლონდონელებმა ფეხბურთელის სანაცვლოდ ორნახევარი მილიონი ევრო გადაიხადეს და ებრაელს ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ბენაიუნი, მეტსახელად „ალმასი“, გახარებულია: „ვიცი, რომ სხვა კლუბებსაც სურდათ ჩემი შეძენა, მაგრამ ოჯახთან და ეიალ ბერკოვიჩთან („ვესტ ჰემის“ ფეხბურთელია) საუბრის შემდეგ ამ გუნდში გადმოსვლა გადავწყვიტე. მე და ეიალი მეგობრები ვართ და ნაკრებშიც ერთად ვთამაშობთ“.

იოსი ბენაიუნი „რასინგმა“ ჰაიფას „მაკაბიდან“ 2003 წელს გადაიბირა. „ალმასმა“ გასულ სეზონში 35 პრემერადივიზიონურ მატჩში ითამაშა, 9 გოლი გაიტანა და გუნდის ბომბარდირი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

XVII ტური

უოტერფორდი — ბრეი 1:2; შელბორნი — დერი სიტი 0:2; დუბლინი — სენტ პატრიკსი 1:0; ფინ ჰარპსი — ბოჰემიანსი 1:3; დროჰედა — კორკ სიტი 0:1

ავსტრია

I დივიზიონი. II ტური

აუსტრია (ლ) — ლინცერი 1:0; გრატკორნი — ლეობენი 3:1; კაპფენბერგი — ალტახი 0:1; კერნტენი — აუსტრია (მ) 1:2; კუფშტაინი — შვაინშტადტი 1:0

სლოვაკეთი

I ლიგა. I ტური

ბანსკა ბისტრიცა — ტრენჩინი 2:0; რუჟომბეროკი — ინტერი 1:2; პეტრჟალკა — ტრნავა 0:2; ჟილინა — ნიტრა 2:5

კონკაკაფის ოქროს თასი 2005

მეოთხედფინალი

ჰონდურასი 3:2 კოსტა რიკა

აშშ 3:1 იამაიკა

შვეიცარია

სუპერლიგა

I ტური

ქსამაქსი — იანგ ბოისი 1:3; ბაზელი — შაფჰაუზენი 1:0; გრასჰოპერი — ივერდონი 3:2; სენტ გალენი — ციურიხი 1:3; თუნი — აარაუ 2:0

ჩელენჯლიგა

I ტური

ბადენი — ლუგანო 1:1; კონკორდია — იუვენტუსი 0:1; კიასო — ბელინცონა 0:0; კრინსი — ვოლენი 0:2; ლოზანა — ვინტერთური 5:4; ლოკარნო — შო დე ფონი 0:1; სიონი — ლუცერნი 1:0; ბოლმი — ვილი 2:0; ვადუცი — მეირინი 4:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა

XVII ტური

ვაშინგტონი — სან ხოსე 3:0; ჩიკაგო — კოლუმბუსი 1:1; ნიუ ინგლენდი — დალასი 3:2; ნიუ იორკი — კოლორადო 1:1; კანზასი — სოლტ ლეიკი 3:2; ლოს ანჯელესი — ჩივასი 2:0

PEACE CUP 2005

A ჯგუფი. I ტური

მამელოდი სანდაუნსი (სამხრეთ აფრიკა) 1:0 სოსიედადი (ესპანეთი)

ტოტენჰემი (ინგლისი) 2:2 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

B ჯგუფი. II ტური

ლიონი (საფრანგეთი) 2:1 სეონგნამი (სამხრეთ კორეა)

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 0:0 ონსე კალდასი (კოლუმბია)

ლიონი	2	1	1	0	3:2	4
პსვ ეინდჰოვენი	2	1	1	0	2:1	4
ონსე კალდასი	2	0	2	0	1:1	2
სეონგნამი	2	0	0	2	2:4	0

ამხანაგური მატჩები

ბარნეტი — არსენალი 1:4; კლაიდი — მანჩესტერ იუნაიტედი 1:5; ლივერპული — ლევერკუზენი 3:0; ფულემი — სელტიკი 0:0; მოზრუელი — ევერტონი 0:0; ბორნმუთი — ჩარლტონი 2:5; ვიკინგი — ბირმინგემი 0:1; ლინფილდი — რეინჯერსი 0:2; იოვილი — პორტსმუთი 2:4; მორეკამბი — ბლეკბერნი 2:2; დანფერმლაინი — გრეტნა 2:1; ქრიუ — ვესტ ბრომვიჩი 3:0; კილმარნოკი — საუთჰემპტონი 2:3

ვინც ეძებს, ის პოულობს

მანჩინი ინტერს სოლიდურად აკომპლექტებს

მილანის „ინტერი“ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას განაგრძობს. გუნდის თავკაცი რობერტო მანჩინის თქმით, ლუიშ ფიგუს „სან სიროზე“ გადაბარგება დროის ამბავია. გარდა ამისა, „ნეროაძური“ კვალიფიციურ მცველსა და თავდამსხმელს ეძებს, რათა მომავალი სეზონისთვის კლუბი ბოლომდე სოლიდურად დაკომპლექტდეს. რამდენიმე კანდიდატი უკვე შერჩეულია და მოლაპარაკებაც მიმდინარეობს. ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო კი მიიჩნევს, რომ მისი სხვაგან გადასვლა ამ ეტაპზე მაინც არარეალურია. ხოლო „ინტერის“ ახალშენაძენი დავიდ პიზარო სიხარულს ვერ მალავს. თუმცა აჯობებს, ყველაფერზე ქრონოლოგიურად და უფრო ვრცლად ვისაუბროთ

რობერტო მანჩინის ძლევამოსილი „ინტერი“ შექმნა სურს

რობერტო მანჩინი: „ლუიშ ფიგუს მაღალ კლასში ეჭვს ვერავინ შეიტანს და სწორედ ამიტომ, ნებისმიერ კლუბს გარკვეული დრო და შესაძლებლობა სჭირდება, რათა ასეთი დონის ფეხბურთელი დაიმატოს. ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. თუმცა აქვე მინდა ვთქვა, რომ იმ შემადგენლობით, რომელიც ახლა გვყავს, ძალიან კმაყოფილი ვარ, კარგად ვიმუშავეთ და იმედია, შედეგები მომავალ სეზონში გამოჩნდება. ბრძოლა სამ ფრონტზე მოგვიწევს. მაგრამ, 20 აგვისტოს იტალიის სუპერთასისთვის „იუვენტუსს“ შევეკინებით და ცხადია, შეეცდებით, მოვიგოთ“.

როგორც იცით, „რეალის“ პორტუგალიელი ნახევარმცველით რაფაელ ბენიტესი და მისი „ლივერპულიც“ დაინტერესებულია, მაგრამ ისე ჩანს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა. თავად ფიგუც უკვე აპენინებისკენ იყურება და სულ მალე ეგებ „შავ-ლურჯი“ მაისურაც მოირგოს.

ამის შემდეგ მანჩინი „ინტერის“ დაცვაზე გადაერთო: „თავადაც მოგეხსენებათ, რომ ვალტერ სამუელისა და კრისტიან კიკუს დამატებას ვცდილობთ. ეს ორი ჩინებული ფეხბურთელი ყველა გუნდს გამოადგება. დანარჩენს კი დროს გვიჩვენებს“.

ამსტერდამის „აიაქსის“ ყოფილი კაპიტნის, კრისტიან კიკუს აგენტმა ანდრეა პრეტიმ რუმინელის „ნეროაძურიში“ გადასვლა არ გამორიცხა, თუმც თქვა, ეს ძალიან ძნელი იქნებაო.

„დასამალი არ არის, რომ „ინტერი“ ჩემი კლიენტით დაინტერესებულია. მილანელთა მმართველი მასიმო მორატი კრისტიანს ტელეფონითაც ესაუბრა, თუმც რასაც პრესაში ამბობენ, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყოს, სიმართლეს არ შეესაბამება. პირიქით, „რომა“ თვლის, რომ კიკუ ხელშეუხებელია. ხოლო თუ „ინტერს“ მართლაც სურს ეს ტრანფერი, ყველანაირად უნდა სცადოს, დედაქალაქელებს აზრი შეაცვლევინოს, რაც ადვილი არ იქნება“ — თქვა პრეტიმ.

კრისტიან ვიერის „მილანში“ გადასვლის შემდეგ „შავ-ლურჯებს“ მისი შემცვლელი სჭირდებათ. „ინტერს“ „იუვენტუსის“ ყოფილი და „ვალენსიას“ ამჟამინდელი ფორვარდისთვის, მარკო დი ვაიოსთვის დაუდგამს თვალი. მას ესპანეთში არც ისე ურიგო სეზონი ჰქონდა, მაგრამ „მესტალიას“ დატოვებაზე და სამშობლოში დაბრუნებაზე მაინც ფიქრობს.

„ვიერის ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. მასთან არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ჩვენ ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. რაც შეეხება მის შემცვლელს, ახალი თავდამსხმელის მოყვანა ჩვენი პრიორიტეტი არ არის, მაგრამ მეხუთე ფორვარდს მაინც ვეძებთ. ეს შესაძლოა, მარკო დი ვაიოც იყოს“ — თქვა მანჩინიმ.

ამასობაში, „რეალი“ ცდილობს, „ინტერის“ ფიგუთი და სამუელით დაინტერესება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. მადრიდელებს სურთ, ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ, ცხადია, კიდევ დიდი ფულის დამატებით, „ნეროაძურის“ სუპერფორვარდი, ბრაზილიელი ადრიანო დასცინცლონ. ადრიანოს კვლავ უტრიალებს ლონდონის „ჩელსიც“. თუმცა „ინტერი“ ისევ სასტიკ უარზეა და, როგორც ჩანს, წასვლა არც თავად ფორვარდს უნდა.

„ამ ამბების შესახებ მეგობარმა მითხრა და მერე თავადაც წავიკითხე იტალიურ პრესაში. ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო და გახარებული ვიყავი. სასიამოვნოა, როდესაც ასეთი დიდი კლუბები შენით ინტერესდებიან. თუმცა მასიმო მორატი ჩემზე არანაკლები წარმოდგენის არის და არა მგონია, აზრი შეიცვალოს. ამ დროისთვის მეც „ინტერში“ დარჩენა მსურს“ — განაცხადა ადრიანომ.

ბოლოს კი „ინტერში“ გადასვლით ძალიან გახარებულ დავიდ პიზაროსაც მოვუსმინოთ: „აქ დიდი ხნის მოლაპარაკებების შემდეგ მოვხვდი და ბედნიერი ვარ. მინდა, „ინტერი“ ჩემი ბოლო კლუბი იყოს იტალიაში და მოლიანად ევროპაში. გუნდის თავკაცი რობერტო მანჩინი მენდობა და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია. იგი უკვე რამდენიმე წელია, მაკვირდება და როგორც იქნა, ერთად ვიმუშავებთ“.

25 წლის ჩილელს ხუან სებასტიან ვერონთან მისი ურთიერთობაც შეახსენეს. ალბათ გახსოვთ, მათ „უდინეზესა“ და „ინტერის“ ერთ-ერთი მატჩისას შელაპარაკება მოუვიდათ.

დავიდ პიზარო: „მე და ვერონს ერთმანეთის წინააღმდეგ მრავალჯერ გვითამაშია. რამდენჯერმე უსიამოვნო ინციდენტებიც მომხდარა. თუმცა ეს ყველაფერი მინდორზე დარჩა და ჩვენს შორის უსიამოვნება არ არის. არც ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლა იქნება პრობლემა. შეგვცლება, საუკეთესოდ წარმოვაჩინო თავი, რითაც მწვრთნელს ვაიძულებ, ჩემი სათადარიგოთა სკამზე დასმა გულშიაც არ გაივლოს“.

გიორგი კაკაბაძე

მოჯიმ წუწუნი დაიწყო

ფეხბურთელი უნდა, ფულის გადახდა კი — არა

პატრიკ ვიერამ „იუვენტუსის“ ფეხბურთელის რანგში პირველი მინი-პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც კიდევ ერთხელ ისაუბრა თავის ტრანსფერზე. კომენტარები გააკეთეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ და გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმაც. პარალელურად კი ტურინელები „უსარგებლო და ზედმეტი“ მოთამაშეების გაყიდვას იწყებენ

ლუჩანო მოჯიმ პატრიკ ვიერა საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა

„მართლაც ამაყი და ბედნიერი ვარ. ეს ღამე ჩემთვის განსაკუთრებული. ბოლო წლებში „იუვენტუსს“ ევროპისა და იტალიის საუკეთესო კლუბად ვთვლი. ახლა კი აქ ვარ და ეს საოცარი გრძნობაა. ამავე დროს სერიოზული გამოცდა მელის, მაგრამ ამისთვის მზად ვარ. „ბებერი ქალბატონი“ ძალიან სტაბილური კლუბია. როდესაც ტურინელებს და მერე საკუთარი თავს ვუყურებ, ვხვდები, „იუვენტუსი“ ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია. გადაწყვეტილება თვითონ მივიღე, რადგანაც ეს ჩემი ცხოვრებაა. ლილიან ტურაისა და ზინედინ ზიდანის, რომელიც „რეალში“ მეპატიჟებოდა, რჩევებს გავლენა არ მოუხდენია. ცხადია, „არსენალში“ გატარებული წლები ყოველთვის სასიამოვნოდ გამახსენდება. ლონდონის დატოვება გამიჭირდა, მაგრამ ასეთია ცხოვრება. მინდა, ტიტულების მოგება გავაგრძელო: „დღეს ალბიზე“ მხოლოდ ჩემბიონთა ლიგისთვის არ გადმოვსულვარ“ — თქვა 29 წლის ნახევარმცველმა.

წარმოშობით სენეგალელ ფრანგს იტალიელი ტიფოზების შესაძლო რასისტულ გამოხტომებსაც ჰკითხეს. ასევე მას ათი წლის წინანდელი პერიოდი გაახსენეს, როდესაც ფაბიო კაპელოსთან ერთად „მილანში“ იყო.

„მაშინ მხოლოდ 19 წლის ვიყავი და ახლა ბევრი რამ შეიცვალა. კაპელო კი ჩინებული მწვრთნელი გახლდათ და ისევ ასეთია. მან ერთხელ ფრანკ რაიკარდს შემადარა, რაც დიდი პატივი და სასიამოვნო კომპლიმენტია, რადგანაც რაიკარდი ჩემი ერთ-ერთი კერპია. რაც შეეხება რასიზმს, ამაზეც ვიფიქრე თუ ასეთი სამწუხარო ინციდენტი იქნება, ამისთვისაც მზად ვარ“ — დასძინა ვიერამ.

ფაბიო კაპელო კი ძალიან კმაყოფილია „ბებერი ქალბატონის“ დღევანდელი შემადგენლობით. ცხადია, ყველაზე მეტად მას სწორედ ვიერას დამატება ახარებს და თვლის, რომ მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური ნახევარდაცვა ჰყავს.

„ემერსონ-ვიერას წყვილი ნამდვილად უძლიერესია და არა მარტო იტალიაში. პატრიკი ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია, იგი სულით ლიდერია. თანაც ადაპტაციაც არ გაუჭირდება ჩვენი სხვა ფრანგი მოთამაშეების წყალობით. ვიერა ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც ძლიერია. ასევე ჩინებული ადამიანია და მისი ამოუწურავი შესაძლებლობების შესახებ ყველას მოგვეხსენება. დაცვაში რობერტ კოვაჩი, ნახევარდაცვაში პატრიკ ვიერა და ჯულიანო ჯანიკედა, ხოლო თავდასხმაში ადრიან მუტუ დავიმატეთ. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც გვჭირდებოდა. სწორედ ასეთია დღევანდელი „იუვენტუსი“. მომავალ სეზონისთვის მზად ვართ“ — აღნიშნა გამოცდილმა ტაქტიკოსმა.

კმაყოფილია ლუჩანო მოჯიც, თუმც იგი ტრადიციულად ფულს მისტირის და „იუვენტუსის“ მომავალ გეგმებზე საუბრობს: „წარმოდგენაც არ გაქვთ, როგორი ბრძოლა დაგვჭირდა „რეალთან“, რათა ვიერა „იუვენტუსს“ დარჩენოდა. უკან არ დაგვიხევია და საბოლოოდ თავად მანაც ჩვენ აგვირჩია. შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ არა პატრიკის სურვილი, „არსენალი“ ტრანსფერს არ დასთანხმდებოდა, რადგანაც იგი ნამდვილი ჩემპიონია. საკმაოდ დიდი ფული დავხარჯეთ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეკეთებოდა იქის, როგორც უნდა გადაგიხადოს და არ ვნანებთ. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელების ვაიდვა მაინც მოგვიწევს. ენცო მარესკა უკვე გავახარეთ. ახლა სტეფან ალბასა და ფაბიანო მიკელის ვკრავ“.

როგორც მოვლის სიტყვებიდან ჩანს, ენცო მარესკას ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ მოგვარდა. ახალგაზრდა ნახევარმცველი უკვე ოფიციალურად ესპანური „სევილიის“ ფეხბურთელია. პირნეელები მასში 18 მილიონ გირვანქას ვადაიხდიან.

სტეფან ალბას ხელში ჩაგდება კი რამდენიმე პრემიერლიგური კლუბს სურს, მაგრამ ამჟამად ყველაზე დიდ ინტერესს თურქული „ფენერბაჰჩე“ იჩენს. სტამბოლელები მზად არიან, განულში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. გავრცელებული ცნობით, ტურინელებს ეს თანხა აკმაყოფილებთ და შესაძლოა, ტრანსფერი უახლოეს დღეებში გაფორმდეს.

რაც შეეხება მიკელის, მას სურს A-ში, დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაბრუნებული „ვენია“ ეპატიჟება გერნუელთა გარდა, რიგში კიდევ რამდენიმე კლუბია და „იუვენტუსის“ უფროსობაც საუკეთესო ვარიანტს არჩევს

გიორგი კაკაბაძე

ინტერტოტოს თასი 2005

მესამე ეტაპი. პირველი მატჩები

დორტმუნდი (გერმანია)	1:1	სიგმა (ჩეხეთი)
ვარტექსი (ხორვატია)	1:1	ლანსი (საფრანგეთი)
ლეირია (პორტუგალია)	0:1	ჰამბურგი (გერმანია)
ეგალეო (საბერძნეთი)	1:3	ჟალგირისი (ლიტვა)
იანგ ბოისი (შვეიცარია)	2:3	მარსელი (საფრანგეთი)
როდა (ჰოლანდია)	0:0	ლიბერეცი (ჩეხეთი)
დეპორტივო (ესპანეთი)	1:0	სლავენი (ხორვატია)
გიოტებორგი (შვედეთი)	0:2	ვოლფსბურგი (გერმანია)
კლუჟი (რუმინეთი)	1:1	სენტ ეტიენი (საფრანგეთი)
დუბნიცა (სლოვაკეთი)	1:3	ნიუკასლი (ინგლისი)
ლაციო (იტალია)	3:0	ტამპერე (ფინეთი)
გენტი (ბელგია)	0:0	ვალენსია (ესპანეთი)

კოლერის ბარძაყი ვაიდენფელერს

დორტმუნდელ იან კოლერს (მარჯვნივ) თავის კარში შეუვარდა

„ვესტფალენშტადიონზე" შეკრებილმა 55 ათასმა „შავყვითელმა" ქომაგმა უკვე მეშვიდე წუთზე ...ხარა, რადგან დორტმუნდის „ბორუსია" ჩეხურ „სიგმასთან" დაწინაურდა — ფლორიან კრინგემ დაახლოებით საპენალტე ნიშნულიდან გახსნა ანგარიში.

ადრეულ გოლით გალაღებული გულშემატკივრები „სიგმას" გაცამტვერებას წინასწარ ზეიმობდნენ, მაგრამ ჩეხური გუნდი კერკეტი გამოდგა.

ტაიმის შუაში სტუმართა ბრაზილიელ მელინოს კარგი მომენტი ჰქონდა, თუმც მეკარე რომან ვაიდენფელერმა ახლოდან დარტყმული ბურთი სასწაულებლივ მოიგერია.

„ბორუსიას" შვედმა ახალწვეულმა ფილიპ დეგენმაც თავის მხრივ ორი ხელსაყრელი ეპიზოდი მიაფუჩეჩა, ხოლო შესვენებამდე საკუთარ კარში გოლი იან კოლერმა მიითვალა — „სიგმამ" საჯარიმო შეასრულა, ბურთი კოლერის ბარძაყს გაეხახუნა, გეზი იცვალა და ვაიდენფელერის კარში ასე შევარდა.

მეორე ტაიმში ჩეხი პეტერ ბაბნიჩის დარტყმული ბურთი „ბორუსიას" მეკარეს გასცდა, მაგრამ კრისტოფ მეცელდერმა მრგვალი საგანი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შვეიცარიულმა „იანგ ბოისმა" „მარსელს" ახალ სტადიონზე უმასპინძლა. ცხადია, უნდოდა, ეს ამბავი მოგებით აღენიშნა, მაგრამ არ გამოუვიდა.

თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ფრანგები ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ. „მარსელმა" მასპინძელი მცველების შეცდომით იხეირა. ჯერ უილსონ ორუმამ, მერე კი მამადუ ნიანგმა თითო-თითო გაიტანეს.

შესვენების შემდეგ „იანგ ბოისი" ჰაკან იაკინმა გამოაცოცხლა. ერთი გოლი თვითონ მიითვალა, ხოლო მეორე მისი პასით რაიმონდომ მიაყოლა. მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე „მარსელის" ნიგერიელმა, 20 წლის ტაი ტაივუმ საჯარიმო დარტყმა უბადლოდ შეასრულა და ფრანგულ გუნდს მოაგებინა.

ვილნიუსის „ჟალგირისი" ერთადერთი კლუბია პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან, რომელიც ინტერტოტოს შემორჩა. ლიტველებმა საბერძნეთში, „ეგალეო" იოლად დაამარცხეს. პირველ ტაიმში გატანილ ერთს, „ჟალგირისმა" შესვენების შემდეგ ორი დაუმატა, „ეგალეომ" კი მატჩის მიწურულს პროკოფიოს საგანასის წყალობით მოახერხა ერთის გაქვითვა.

თომას დოლის „ჰამბურგმა" პორტუგალიურ „ლეირიას" სტუმრად პიოტრ ტროხოვსკის კინკილა გოლით მოუგო, ხოლო „როდა" და „ლიბერეცი" ერთმანეთს ფრით დასცილდნენ.

ხორვატიაში, „ვარტექსი" „ლანსთან" მარცხს ბოლო წუთზე გადაურჩა. ფრანგები დანიელ კუზინმა დააწინაურა, მაგრამ მასპინძელმა პლანტიჩმა დაახლოებით 30 მეტრიდან ისე დაჰკრა, რომ შარლ იტანჟეს შანსი არ დაუტოვა.

„დეპორტივოს" ახალი მწვრთნელ ხოაკინ კაპაროსის ევროდებიუტი კი გამარჯვებით დასრულდა — ლაკორუნიელთა მეტოქე „სლავენი" იყო, რომლის მეკარე რობერტ ლისიაკმა მთელი მატჩის განმავლობაში საუცხოოდ ითამაშა და მხოლოდ რუბენის დარტყმულს ვერ გაუმკლავდა, რომელმაც თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ჩხუბის ფესტივალი მოსკოვში

რუსეთი

პრემიერლიგა. XVI ტური

ტომი 0:0 ლოკომოტივი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, გურენკო, სენიკოვი, ბასათიანი, ევსეევი, ხოხლოვი (პაშინინი 90), მამინოვი, ფ. ლიმა, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი, კანიენდა

ამკარი 0:0 შინიკი

დინამო 1:2 ზენიტი

0:1 სპივაკი (23), 1:1 დანი (32), 1:2 კერჟაკოვი (64)

ალანია 2:0 კრილია

1:0 ჯ. ბაზაევი (45), 2:0 დადუ (79)

ალანია: რადიჩი, აგაევი, ოკორონკვო, ჟუტაუტასი, კრისტოფერი (ბარასა 46), გრუიჩი, ბურდული, გ. ბაზაევი, ჯ. ბაზაევი (კ. ტუდორი 81), დარასელია, გოგნიევი (დადუ 58)

რუბინი 0:0 სატურნი

რუბინი: ხარჩიკი, სინიოვი, კალისტო, სკოტი, სალუქვაძე, აიუპოვი (ილანდი 85), დომინგესი (ჩიჯეკი 12), კონოვალოვი, ასტაფიევსი, ბაირამოვი, სილა

როსტოვი 1:1 ტორპედო

1:0 პერესი (32), 1:1 ზირიანოვი (63)

როსტოვი: ბაგი, გუტიერესი, კრუშჩიჩი, ოლენიკოვი, შირშოვი, ბურჩენკო, ოსინოვი, ბოჩკოვი, დანცევი (ზვანე 75), პერესი (კალაშნიკოვი 62), აშვეთია (ალხაზოვი 58)

ტერეკი 1:0 ცსკა

1:0 ადამოვი (28)

მოსკვა 3:1 სპარტაკი

1:0 კირიჩენკო (44), 2:0 ბრაკამონტე (67), 3:0 კირიჩენკო (70), 3:1 პავლენკო (82)



„სპარტაკის" მწვრთნელი ალექსანდრს სტარკოვსი შესაძლოა, გუნდიდან დაითხოვონ

ზედიზედ სამი მატჩია, „სპარტაკი" ვერ იგებს და ეგებ ალექსანდრს სტარკოვსი მოხსნან. ლატვიელმა თავკაცმა „მოსკვასთან" მარცხის შემდეგ თქვა, ჩემმა გუნდმა სამარცხვინოდ ითამაშაო.

„მოსკვას" გასულ ხუთშაბათს მწვრთნელი შეუცვალეს — პეტრაკოვის ადგილი სლუცკიმ დაიკავა და გუნდს მისი ხელი დაეტყო. მისმა შეგირდებმა დედაქალაქურ დერბიში „სპარტაკი" აშკარად დაჩაგრეს.

მასპინძელთაგან ანგარიში დმიტრი კირიჩენკომ გახსნა. მან პირველი ტაიმის მიწურულის ჩაწოდებულ ბურთზე მცველს დაასწრო და ვოიცეხ კოვალევსკის ახლოდან გაუტანა. შესვენების შემდეგ არგენტინელმა ექტორ ბრაკამონტემ იხეირა, რომელმაც სპარტაკელი მცველების შეცდომით ისარგებლა, მეკარესაც გასცდა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ამ მომენტიდან სამ წუთში კი კვლავ კირიჩენკომ იყოჩაღა, ხოლო „სპარტაკმა" პავლენკოს წყალობით ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა.

ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ლოკომოტივმა" ტომსკიდან ქულა წაიღო, არადა, მასპინძლებს მატჩის ბოლოს ნაღდი საგოლე მომენტი რომ გამოეყენებინით, ლიდერს უქულოდ გაისტუმრებდნენ.

ვლადიმირ ეშტრეკოვმა შეტევაში დმიტრი სიჩოვს „როსტოვიდან" ახალგადაყვანილი კანიენდა შეუწყვილა და მათ ერთად კაპიკის ფასი არაფერი გაუკეთებიათ. „ლოკომოტივის" მეკარე ოვჩინიკოვს კი პირველ ტაიმში საქმე არ მოჰკლებია — „ტომსმა" გუნდი რამდენჯერმე იხსნა.

სტუმრებმა შესვენების შემდეგაც სახეირო ვერაფერი შექმნეს. „ტომის" ახალწვეულმა ბოსნიელმა, ბრანისლავ კრუნიჩმა შეხვედრის მიწურულს კლიმოვი ოვჩინიკოვთან პირისპირ დატოვა, მაგრამ მასპინძელთა ფორვარდმა ძლევნი ვერ შეირგო.

პორტუგალიელებით გაძლიერებულმა მოსკოვის „დინამომ" ჩხუბით ხავსე „ზენიტთან" წააგო. „დინამოს" დროებითი თავკაცი ალექსანდრ კობელევი უხასიათოდაა, რადგან კლუბის პატრონი მისით უკმაყოფილოა. კობელევს უკვე მოუძებნეს შემცვლელი — ბრაზილიელი მწვრთნელი ვერტმანი, რომელიც ახლა პორტუგალიაშია და რუსეთის დედაქალაქში ჯერ კიდევ სამი დღის წინ უნდა ჩასულიყო. ამ მატჩში „პორტუს" ყოფილი ფეხბურთელის, მანიშეს დებიუტიც შედგა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა.

მანიშე რობერტოს მოსკოვის „დინამოში" გუშინ პირველად ითამაშა

ანგარიში ნევისპორტელებმა გახსნეს: სპივაკმა ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო და ბურთი კარის ცხრიანში ჩასვა.

„დინამომ" მალევე გაათანაბრა. დერლეიმ დანი ჩენტოვალსკისთან პირისპირ გაიყვანა და პორტუგალიური კომბინაცია გოლით დასრულდა.

შესვენების შემდეგ ზენიტელმა კერჟაკოვმა იყოჩაღა, რომელმაც მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და წინ გამოვარდნილ მეკარე ბერეზოვსკის გაუტანა.

მატჩამდე მოსკოვში გვარიანი დაკა-დაკა მოხდა. ფესტივალის ქუჩაზე „ზენიტისა" და „დინამოს" გალეშილი ფანები ერთმანეთს დაერივნენ და პოლიციამ ძლივს დააწყნარა.

გროზნოს „ტერეკს" აქამდე ზედიზედ ხუთი მატჩი წაგებული ჰქონდა, რომ გოლი არ გაეტანა, მაგრამ გროზნოელებმა ცსკა-სთან მოიწყინეს და უეფას თასის მფლობელები დაამარცხეს. გოლი ადამოვმა გაიტანა, რომელმაც კარიდან უხეიროდ გამოსული იგორ აკინფეევის შეცდომით ისარგებლა.

ვლადიკავკაზში კი „ალანიამ" ოცხაკ შუმის თავკაცობით პირველი შეხვედრა მოიგო და ცხრილში ორი საფეხურით აინაცვლა, ხოლო „ამკარი" და „შინიკი" უგოლოდ გაიყარნენ.

ვაჟა ხუციშვილი

ლოკომოტივი	18	10	8	0	26:4	38
ზენიტი	17	8	5	4	27:16	29
რუბინი	16	7	6	3	19:15	27
მოსკვა	15	7	5	3	17:8	26
ცსკა	14	7	4	3	21:7	25
სპარტაკი	16	7	4	5	27:19	25
დინამო	16	7	1	8	18:25	22
სატურნი	16	5	5	6	11:10	20
ტორპედო	15	4	7	4	16:12	19
კრილია	17	4	7	6	15:22	19
შინიკი	16	3	8	5	10:14	17
ალანია	16	4	5	7	12:22	17
ტომი	16	3	7	6	9:15	16
ამკარი	16	2	10	4	11:19	16
ტერეკი	16	3	3	10	9:25	12
როსტოვი	16	2	5	9	9:24	11

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

შვედეთი

ალსვენსკა

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	75	კალმარი-ელფსბორგი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
21:00	76	ასირისკა-ჰეკენი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
21:00	77	იურგორდენი-სუნდსვალი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39

ისლანდია

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:15	96	კეფლავიკი-ვესტმანაეიარი	1.60	3.50	4.20	1.09	1.15	1.90

იაპონია

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	108	ინიჰარა-ომია	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
14:00	109	ურავა-ჰიროსიმა	1.95	3.10	3.30	1.19	1.22	1.59

ევროპის ჩემპიონატი (19)

ჩრდ ირლანდია

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	223	საფრანგეთი-ინგლისი	2.50	3.30	2.40	1.42	1.22	1.38
22:00	224	ნორვეგია-სომხეთი	1.80	3.30	3.50	1.16	1.18	1.69
22:00	225	სერბეთი-გერმანია	2.80	3.20	2.15	1.49	1.21	1.28
22:00	226	ჩრდ.ირლანდია-საბერძნეთი	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04

საერთაშორისო ტურნირი

კორეა

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
14:00	200	ბოკა ხუნიორსი-სოსიედადი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
14:00	201	ტოტენჰემი-სანდაუნსი	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97

ჩოგბურთი კაცები

ამერსფურტი

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
13:00	400	ბერენდი-სანჩესი	1.70	1.90				
13:00	401	ვან შეპინგი-ვან გემერდენი	1.90	1.70				
13:00	402	ვასეკი-ნორმანი	1.40	2.80				
13:00	403	ვესელსი-კალატრავა	1.60	2.20				
13:00	404	ვანეკუ-კორტელინგი	1.10	5.50				
13:00	405	გონსალესი-ვლიეგენი	1.15	4.50				
13:00	406	ლაპენტი-ვიკი	1.50	2.50				
13:00	407	პუერტა-ტიპსარევიჩი	1.20	3.50				
13:00	408	როხუსი-ტაბარა	1.35	2.85				
13:00	409	სერა-მინარი	1.60	2.20				
13:00	410	ჰორნა-სლოიტერი	1.35	2.90				
13:00	411	ერნანდესი-ვენტურა	1.40	2.80				

ჩოგბურთი კაცები

შტუტგარტი

18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
12:30	412	ვერდასკო-ალმაგრო	1.40	2.80				
12:30	413	მონაკო-სამერერი	1.20	3.80				
12:30	414	სტარაჩე-მონფილსი	1.60	2.20				
12:30	415	მაიერი-სეპი	1.60	2.05				
12:30	416	მონტანესი-სიმონი	1.35	2.90				

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

ტელკრედიტი
TELCREDIT

10 42 00 24

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ზაზა გაქორდა

ფაჩულია 99-პროცენტით ატლანტელია

ცოტაც და ზაზა ფაჩულია ატლანტელი გახდება

ზაზა ფაჩულიას სამი გუნდი ეკურკურებოდა და, როგორც ჩანს, „ატლანტა ჰოქსმა“ ყველას აჯობა, რომელიც, სავარაუდოდ, 22 ივლისს ქართველ გოლჯოხანელიან კონტრაქტს გაუფორმებს.

ზაზას ნბა-ს გასული რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ თავისუფალი აგენტის სტატუსი ჰქონდა და, როგორც ამბობდა, კვლავ „მილუოკი ბაქსში“ დარჩებოდა.

„მილუოკის“ მთავარი მწვრთნელი ტერი პორტერი კარგი თვალით მიყურებს, მან ჩემი შესაძლებლობები მშვენივრად იცის და სურს, კვლავ მის გუნდში ვითამაშო“ — ამბობდა ზაზა ივნისში, როცა თბილისში თავისი სახელობის კემპი მოაწყო.

ვინძლო, ეს ასეც მომხდარიყო და ზაზა „მილუოკიში“ დარჩენილიყო, მაგრამ მოგვიანებით მოხდა ორი ფაქტი, რომელმაც ფაჩულიას „ბაქსში“ დარჩენა საეჭვო გახადა. ზაზას ქომაგი პორტერი მოულოდნელად გუნდიდან დაითხოვეს, ხოლო „მილუოკიმ“ დრაფტზე პირველ ნომრად ცენტრფორვარდი ანდრეს ბოგუტი აირჩია.

ზაზა მაინც არ კარავდა „მილუოკიში“ დარჩენის იმედს, მაგრამ როცა ამ გუნდმა კიდევ ერთ ცენტრ დან გაძურჩს ხელახალი, 7-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, ფაჩულიამ მზერა სხვა გუნდებისკენ გადაიტანა.

„იუტა ჯაზი“ და „ატლანტა ჰოქსი“ — ქართველი ცენტრის მსურველ ამ გუნდებს გვერდში სიმბოლურად „მილუოკიც“ ედგა, მაგრამ „ხარირმებს“ სერიოზული სურვილი რომ ჰქონოდათ, განა საქმეს აქამდე მიიყვანდნენ?

ჰოდა, როგორც გუშინ ზაზას დედამ, ქალბატონმა მარინამ გვითხრა, 99 პროცენტით გადაწყვეტილი ყოფილა „ატლანტას“ ვარიანტი. მისი თქმით, სავარაუდოდ 22 ივლისს ჯორჯიელი „ქორები“ ფაჩულიას ოთხწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ.

ამ საქმეს ბეჭედი ჯერ არ დასმია, მაგრამ როგორც თავად ზაზა ვარაუდობს, რამდენიმე დღეში ის „ატლანტას“ სისხლისფერ ფაისურას მოირგებს.

თუ ეს საქმე გამოვიდა, „ატლანტა“ ზაზასთვის მესამე ნბა-ური კლუბი იქნება, თუ არ ჩავთვლით მეოთხე „შარლოტ ბობქეტსს“, რომელსაც ზაზა ოფიციალურად რამდენიმე საათი ეკუთვნოდა და შემდეგ „მილუოკი ბაქსს“ გაუცვალა. ფაჩულიას სადებიუტო გუნდი კი „ორლანდო მეჯიქია“, რომელმაც შარშანწინ ის დრაფტზე 42-ე ნომრად აირჩია.

ირაკლი პერტაია

ევროპის ჩემპიონატი. B დივიზიონი. ვარნა *8 - 17 ივლისი*

ბურთის ირონია ანუ

საქართველოს ფეხი დაუცდა

ზოგადად წაგებას გამართლება არა აქვს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა გუნდი ღირსეულად მარცხდება და მასზე აუგის სათქმელად ენა არ მოგიტრიალდება. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე ფინალის ტოლფასი ნახევარფინალი წააგო და 0 დივიზიონში კიდევ ერთი წლით ჩარჩა, რაც მხოლოდ იღბალს უნდა დააბრალოს.

ქართველები სირენამდე 3 წუთით ადრე 6 ქულას უგებდნენ უნგრელებს, თუმც საბოლოოდ 2 ქულით წააგეს. მეტოქის ფორვარდმა გამარჯვების ბურთი ლამის წაქცეულმა, კურიოზულად ჩაგვიგდო, ხოლო სირენამდე 20 წამით ადრე უნგრელთა ფარისკენ გაჭრილ ერთ-ერთ ჩვენიანს ფეხი დაუცდა და...

— მხოლოდ იღბალს უნდა დავაბრალო უნგრელებთან მარცხი, რადგან მეტოქეს მთელი თამაში ტოლ-სწორად ვეთამაშეთ და ბოლო წუთებზე მნიშვნელოვანი უპირატესობაც მოვიპოვეთ — გვითხრა ქართველთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა.

— უპირატესობა კი მოიპოვეთ, მაგრამ საბოლოოდ უნგრეთმა მოიგო. ეს არაა გასამართლებელი საბუთი...

— გეთანხმებით, რომ არაა და არც ვაპირებთ თავის გამართლებას. ჩვენმა ნაკრებმა ყველაფერი გაიღო გამარჯვებისთვის და ის შედეგი, რაც მივიღეთ, მხოლოდ სპორტული უიღბლობის ბრალია.

— კონკრეტულად რას გულისხმობთ, რაში არ გაგიმართლათ?

— იმაში, რომ ბოლო წუთზე დავით იმნაძის ფარქვეშიდან ნატყორცნი ბურთი სასწაულებრივ ამოვარდა ფარიდან, ხოლო მეტოქის ფორვარდმა უიმედოდ ნატყორცნი ბურთი ჩააგდო.

ბურთს ფეხზე ეკიდა ნუგზარ კანდელაკი

— უიმედო რატომ იყო?

— მას გასაქანი აღარ ჰქონდა. დრიბლინგში იყო, ორი ნაბიჯი გადადგმული ჰქონდა და გარშემო ჩვენი მცველები ეხვია. მან ალალბედზე ტყორცნა, უფრო სწორად, მოისროლა ბურთი ფარისკენ და... უნგრელთა ამ შეტევამდე კი მთლად სასწაული რამ მოხდა. გიორგი ცინცაძემ საჯარიმო ხაზიდან ანგარიში გაათანაბრა და მერე დაცვაშიც იყოჩაღა. სირენამდე ოცოდ წამით ადრე მან ცენტრში ბურთზე ხელი წაუკრა მეტოქეს, რომელმაც ორიენტაცია დაკარგა, წაიქცა და ბურთის დასაუფლებლად წასული ცინცაძეც მას გამოედო. ეს კიდევ არაფერი, ნეიტრალური ბურთისკენ ერთ-ერთი ჩვენიანი გაიქცა, რომელსაც ხელს არავინ უშლიდა, თუმც ფეხი დაუცდა და... არადა, მეტოქის ნახევარი ცარიელი იყო და რომ არ წაეფორხილა, ფართან მარტოდმარტო რჩებოდა. სწორედ იმ შეტევაში ჩაგვიგდო მეტოქემ გამარჯვების ბურთი.

— თამაშიდან გამომდინარე, გამარჯვებას ვინ იმსახურებდა?

— ძალიან თანაბარი თამაში გახლდათ. მოხსნები თანაბრად დაგვიგროვდა, ორქულიანებში ჩვენ ვაჯობეთ, სამიანებში კი მათ. უნგრეთი სამქულიანების გუნდია და ასე თუ ისე, მოვახერხეთ მათი ტყორცნებისგან თავდაცვა, მაგრამ ბოლოში, როგორც უკვე გითხარით, სასწაულად არ გაგვიმართლა.

— მეორე ნახევარფინალში პოლონეთი ბულგარეთთან უიმედოდ დამარცხდა. ასე რომ, თქვენი შერჩეული ტაქტიკა, ბულგარელებს არ შევხვდეთო, გამართლებული ყოფილა.

— მე თუ მკითხავთ, პოლონეთი ყველაზე ძლიერი გუნდია ამ ტურნირზე, მაგრამ მსაჯებმა აქაც-რად დაჩაგრეს. მასპინძელი ბულგარეთი იყო და A დივიზიონში ყველა დაწერილი თუ დაუწერელი წეს-კანონით უნდა გადასულიყო. ჩვენ უნგრეთზე ვამაღალი გზა ავირჩიეთ, სწორედაც მოვიქეცით, მაგრამ ბოლო წამებზე არ გაგვიმართლა. ბულგარეთთან შანსიც არ გვექნებოდა.

— დღეს სწორედ პოლონეთთან მოგიწევთ მესამე ადგილისთვის ბრძოლა.

— ამ მატჩს აღარანაირი მნიშვნელობა არა აქვს და ბიჭებიც ნირწამხდარნი არიან. ძნელია, მათ ახლა რამე მოსთხოვო და თუ პოლონეთთან მთელი მონდომებით არ ითამაშებენ, ვერ გაამტყუნებ.

ირაკლი პერტაია

ნახევარფინალი
საქართველო 69:71 უნგრეთი
21:21 18:17 12:8 18:25

	წ	ქ	ბ	პ	ჩ	დ
გამყრელიძე	25	-	5	2	-	1
ცინცაძე	37	27	6	4	5	1
საყვარელიძე	31	12	2	-	1	-
იმნაძე	20	-	3	-	-	5
ათუაშვილი	6	-	1	1	-	-
მდივანი	29	17	10	-	-	2
ვაშაკიძე	18	8	-	1	2	2
ჩხატარავშილი	26	5	4	-	-	1
ფარლალავა	8	-	-	-	-	1

მე-3 ადგილისთვის
პოლონეთი 96:76 საქართველო
18:15 20:23 21:21 37:17

	წთ	ქ	ბ	პ	ჩ	დ
ცინცაძე	35	11	4	5	1	4
ვაშაკიძე	32	6	3	-	2	1
ფარლალავა	25	4	3	1	1	3
მდივანი	36	27	8	1	2	0
იმნაძე	30	21	11	1	-	2
გამყრელიძე	20	6	2	-	2	2
ჩხატარაშვილი	23	13	4	-	-	1

კოკაი ლიდერთა მდევარია

იოკოძუნას მწარე ბულგარული უქმე



სეზონის მეოთხე დიდმა ბაშომ ეკვატორი გადალახა. შაბათ-კვირის შეხვედრებმა ფრიად საინტერესოდ ჩაიარა და აიჩის პრეფექტურის დარბაზში შეკრებილმა გულშემატკივარმაც კმაყოფილების ნიშნად ალალად გადაყარა არენაზე ძაბუტონები, ანუ სკამზე დასაფენი ბალიშები.

თუნდაც 21-ე საუკუნის პირველი და ჯერაც ერთადერთი იოკუძუნას, მონღოლი „ცისფერი დრაკონის", ასასიორუს უძლეველობის მითის დანგრევა რად ღირს. ბოლო ოთხ ბაშოზე მხოლოდ ერთხელ „წაქცეულ" ამ დიდკაცს 22 წლის „კოტოეგროპად" წოდებულმა ბულგარელმა კოტოოსიუმ გადააბიჯა.

სპეციალისტთა ნაწილი ამ ორმეტრიან ბალკანელ გულივერს უკვე იმპერატორის თასის უმთავრეს ფავორიტადაც კი მიიჩნევს, რადგან იოკოძუნას გარდა ორი ძლიერი ოძეკის დამარცხებაც მოუსწრია და წინ მხოლოდ რიგით მაეგაშირებთან ბრძოლები დარჩენია.

ახლა კი მთავარი. ლევან ცაგურია მეშვიდე-მერვე ტურის შემდეგ კლავინდებურად ლიდერთა ზურგს უკან მდგომ ჯგუფშია, ამჯერად უკვე ორი მარცხით. შაბათს ქართველმა სეკიტორიმ 156-კილოგრამიანი ტუმონძი გადააგდო არენიდან, კვირას კი მიმომხილველთაგან ტალანტად მონათლულ პოპისთან ველარას გახდა არაფ, წლეულს ჩატარებულ ბაშოებზე მას სამჯერ შეხვედროდა და სამივეჯერ დაემარცხებინა.

რვა ტურის შემდეგ კოკაის მსგავსად ექვსი ქულა აქვთ კოოტოსიუს, ოძეკი კაიოს, სეკივაკე ხაკუხოსა და რიგით მაეგაშირებს: ტაკამისაკარისა და ტაიოძაკურას, ხოლო ლიდერები შვიდქულიანი ასასიორუ და დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატო არიან.

შაბათამდე იოკოძუნას მხარდამხარ იმპერატორის თასისკენ უდანაკარგოდ მიიწევდა დასავლეთის მერვე მაეგაშირა ივაკიამა და ორივე უიქნდური ბრძოლაც რომ წაეგო, წესით, ჩვენგან ჩამოთვლილ ლიდერთა სიაში მაინც უნდა მოხვედრილიყო, თუმცა ამ ორცენტნერიან სეკიტორის ნაგოიას ბაშოს გაგრძელებაზე ექიმებმა უარი ათქმევინეს მეშვიდე ტურში მიღებული მხრის ტრავმის გამო.

დღეს მეცხრე ტურია და ერთპიროვნული ლიდერიც გამოიკვეთება, რადგან ასასიორუ და ვაკანოსატო ერთმანეთს დაეჭიდებიან. კოკაის მეტოქე კი ექსსეკივაკე ტამანოსიმა იქნება. ჩვენებური აქამდე მას ექვსჯერ შეხვედრია და მხოლოდ ორჯერ უმარჯვია.

ოთარ მაღლაკელიძე

რაგბი

ბორჯღლის ნაღმა-უკუღმა ტრიალი

ამ შაბათს მოსკოვში, შვიდკაცა რაგბის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა სრული ფიასკო განიცადა. დიდი ხანია, ასე არ შევრცხვენილვართ და ტკივილი მით უფრო დიდია, რომ „ბორჯღალოსნებმა" კარგა ხანია, ლამაზ გამარჯვებებს მიგვაჩვიეს.

უცნაურად იბურთავეს ჩვენებურებმა რუსთა დედაქალაქში. ჯგუფში, რომელშიც მართლაც ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდათ, ბოლოსწინა, ანუ მეხუთე ადგილი დაიკავეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. თუმც ეს არ არის მთავარი. გაკვირვებას ნაჩვენები შედეგები იწვევს, რომლებიც სრულიად ალოგიკურად გამოიყურება. თავად განსაჯეთ, პირველი შეხვედრის ჩატარება რუსეთის ნაკრებთან მოგვიხდა და 12:17 წავაგეთ. სამწუხაროა, თუმც არც ისე მოულოდნელი, რადგანაც რუსებმა ბათუმშიც ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და საკუთარ კედლებში რომ ორმაგი შემართებით მოგვაწვებოდნენ, თავიდანვე ვიცოდით. შემდეგ მეტოქედ საფრანგეთი გვერგო, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, რომელიც პორტუგალიელთა მთავარ კონკურენტად მოიაზრებოდა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. ფრანგებთან რომ წაგვეგო, აბა, ვის მოუბრუნდებოდა ენა, რომ ჩვენს გუნდზე აუგი ეთქვა, მაგრამ ქართველებმა თავი გამოიდეს და 24:19 მოიგეს.

მოდი, და ნუ ირწმუნებ, რომ პირველი მარცხი შემთხვევითობა იყო და ჯგუფში სასურველი ადგილის დაკავება არ გაგვიჭირდებოდა. მით უმეტეს, რომ შემდეგი თამაში მოლდოვასთან გვქონდა. „ბორჯღალოსნებმა" 7:10 წააგეს და კიდევ ერთხელ გაგვაკვირვეს.

ცნობისთვის: საფრანგეთმა მოლდოვას 35:17 სძლია. ჩვენთვისთვის კი სამწუხაროდ, ეს ბოლო მარცხი არ ყოფილა. რუმინეთმა დაძაბულ ბრძოლაში 19:17 მოგვიგო და ნუგეშად ისღა დაგვიტოვა, რომ ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში სრულიად უპრეტენზიო და აშკარა აუტსაიდერ ლიტვის ნაკრებს ვხვდებოდით. ლიტვამ მართლაც ვერ მოგვიგო, მაგრამ არც ჩვენებს უზეიმიათ. მატჩი ფრედ — 14:14 დამთავრდა და თასის ან თუნდაც სინისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ. იმედად მხოლოდ აუტსაიდერთათვის საოცნებო ფიალა შეგვრჩა და მისთვის ბრძოლაში ჩავებით.

ნახევარფინალში უკრაინელებს 12:10 ვძლიეთ და ფინალში ისევ ლიტვას გადავეყარეთ, რომელმაც ხორვატია გამოთიშა საფიალო ბრძოლიდან.

იფიქრებთ, მეორე ცდაზე მაინც შევძელით უსახური ლივტის დამარცხებაო და მწარედ შეცდებით. ამჯერად ფრესაც კი ვერ შევწვდით და 7:17 წავაგეთ.

ასე დავრჩით მოსკოვურ ტურნირზე ყოველგვარი ჯილდოს გარეშე და საერთო ჯამში მეათე ადგილი დავიკავეთ.

ჩემპიონატი პორტუგალიამ მოიგო, რომელმაც ფინალში რუსეთი დაამარცხა და თასს დაეუფლა. სინი ესპანეთს ერგო გერმანელთა ძლევის წყალობით. ფიალა კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ლიტვამ შეირგო.

რას უნდა მივაწეროთ „ბორჯღალოსანთა" უსუსური გამოსვლა ევროპის ჩემპიონატზე, ძნელი სათქმელია. ეგებ ნაკრების თავკაცთა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შევიტყოთ რამე.

A ჯგუფი	მ	ფ	წ	ს	ქ
1 პორტუგალია	4	1	0	154	14
2 იტალია	3	1	1	63	12
3 ესპანეთი	3	0	2	28	11
4 გერმანია	3	0	2	-64	11
5 უკრაინა	1	0	4	-35	7
6 ხორვატია	0	0	5	-146	5

B ჯგუფი	მ	ფ	წ	ს	ქ
1 რუსეთი	5	0	0	100	15
2 საფრანგეთი	3	0	2	11	11
3 მოლდოვა	3	0	2	-13	11
4 რუმინეთი	2	0	3	-17	9
5 საქართველო	1	1	3	-5	8
6 ლიტვა	0	1	4	-76	6

თასის ნახევარფინალები

პორტუგალია 22:7 საფრანგეთი

იტალია 0:17 რუსეთი

თასის ფინალი

პორტუგალია 28:26 რუსეთი

მატჩი მესამე ადგილისთვის

საფრანგეთი 24:28 იტალია

სინის ნახევარფინალები

ესპანეთი 19:14 რუმინეთი

გერმანია 31:7 მოლდოვა

სინის ფინალი

ესპანეთი 26:14 გერმანია

მატჩი მერვე ადგილისთვის

რუმინეთი 21:26 მოლდოვა

ფიალის ნახევარფინალები

უკრაინა 10:12 საქართველო

ხორვატია 14:19 ლიტვა

ფიალის ფინალი

საქართველო 7:17 ლიტვა

მატჩი მეთერთმეტე ადგილისთვის

უკრაინა 36:0 ხორვატია

საბოლოო ცხრილი

1 პორტუგალია	7 მოლდოვა
2 რუსეთი	8 რუმინეთი
3 იტალია	9 ლიტვა
4 საფრანგეთი	10 საქართველო
5 ესპანეთი	11 უკრაინა
6 გერმანია	12 ხორვატია

ავტორბოლა



ესპანეთში ვარჯიშისას ყველაზე სწრაფი ხუან-პაბლო მონტოია იყო

სატესტო ამბები

შუმახერს იმედი უქრება

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

მომავალ კვირას გასამართი გერმანული ეტაპის წინ მეფორმულეებმა მორიგი სატესტო სერია მოითავეს. შვიდი გუნდი ესპანეთში, ხერესის ტრეკზე ვარჯიშობდა, ხოლო ფრანგულ პოლ რიკარის მარტოდმარტო სტუმრობდა „ფერარი".

მართალია, წლეულს მწარედ შერცხვენილი სკუდერიელები ამბობენ, აქცენტი საგაისო ბოლიდის მომზადებაზე გადავიტანეთო, მაგრამ, ცხადია, მიმდინარე სეზონში ბოლომდე ხელის ჩაქნევას არ აპირებენ და ორივე, პილოტ-გუნდურ ჩათვლაში ვიცეჩემპიონობისთვის მაინც იბრძოლებენ.

„ფერარი" 24 ივლისს „ჰოკენჰაიმრინგზე" ახალი აეროდინამიკიანი მანქანების გამოყვანას გეგმავს. საჯინიბოს მეტესტე მარკ ჟენემ და შემდეგ მიხაელ შუმახერმა საბურავებთან ერთად ეს სიახლეც გამოსცადეს. ძველი და ახალი ვერსიების მონაცემებს შეადარებენ და გადაწყვეტილებასაც შემდეგ მიიღებენ.

ოთხდღიან ვარჯიშებზე ყურადღება „წითელი ბედაურების" ფიასკოს უმთავრეს მიზეზზე — „ბრიჯსტოუნის" საბურავებზე იყო გამახვილებული. სეზონის დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, რომ იაპონური „ფეხსაცმელი" ვერ მოერგო ახალ რეგლამენტს (რბოლისას საბურავების შეცვლა აკრძალა) და ფრანგულ „მიშლენზე" ბევრად ნელია.

შუმახერი მშობლიურ ტრასაზე გაორმაგებული მონდომებით კი შეეცდება გამარჯვებას, მაგრამ არ ჰგონია, რომ მისი ბოლიდის სისწრაფე მკვეთრად მოიმატებს: „ბუნებრივია, გერმანიის დიდ პრიზზე გვინდა კარგი შთაბეჭდილება დავტოვოთ. მინდა, ვიყო ოპტიმისტი და ჩემს გულშემატკივრებს კარგ შედეგს შევპირდე, მაგრამ ძნელია ამის თქმა, რადგან სადღეისოდ ამაში დარწმუნებული არ ვარ. თუმცა როგორც ამბობენ, იმედი ბოლოს კვდება."

„ხერეს დე ლა ფრონტერაზე" 21-მა მრბოლმა გაიჯირითა. თავიდან უსწრაფესი იყო ტოიოტელი რალფ შუმახერი, ჯენსონ ბატონი (BAR) მას წამის მეათედით ჩამორჩა. ხუან-პაბლო მონტოიას „მაკლარენმა" პრობლემების გამო მხოლოდ 26 წრე გაიარა და მერვე დრო აჩვენა. სამაგიეროდ, კოლუმბიელმა მძღოლმა მეორე დღეს იჟინიდა, რალფის შედეგს 1,3 წამი ჩამოაკლო და საერთოდაც, სატესტო სამდღიურის საუკეთესო დრო დააფიქსირა. დასკვნით ვარჯიშზე მონტოიას პედრო დე ლა როსამ შეცვალა და მანაც ყველაზე სწრაფად იქროლა.

2006 წელს „სამეფო რბოლებში" მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილება მოხდება. სიჩქარეების დასანელებლად და მძღოლთა უსაფრთხოების გაზრდის მიზნით შემცირდება ძრავების მოცულობა. ცილინდრების რაოდენობაც ათის ნაცვლად რვა გახდება.

ხერესში რვაცილინდრიანი საგაისო ძრავა პირველად გამოსცადა BMW-მ. ახალი „გული" ჩაუდგეს „უილიამსს", რომელსაც ანტონიო პიცონია მართავდა. „BMW მოტორსპორტის" დირექტორი მარიო ტეისენი ტესტებით კმაყოფილი დარჩა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდისო.

მშობლიურ ავტოდრომზე არ უვარჯიშია ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს. 23 წლის ოვიედოელის თქმით, მან ასე ისურვა, რათა ჰოკენჰაიმში რბოლის წინ კარგად დაისვენოს.

გია ახალაძე

ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

ცხრა მთა გადავიარე
ლენსმა მდევრები დაფერთხა

ლენს არმსტრონგი და ივან ბასო

ალპებგადალახული ველოქარავანი ამ უქმეებზე პირინეებს მიადგა და შაბათ-კვირას გამართულმა ორმა სამოო ეტაპმა გვარიანად აურია საერთო ჩათვლის კენწეროში — ზოგმა ზევით აინაცვლა, სხვები ქვევით დაცურდნენ, მაგრამ „ტურ დე ფრანსის“ ექვსგზის ჩემპიონთან და წლეულსაც მოლიდერე ლენს არმსტრონგთან მიახლოება მაინც ვერა კაცმა ვერ შეძლო. საერთო ჩათვლის ზეხუოეულიდან საბოლოოდ ამოვარდნენ ფრანგთა იმედი კრისტოფ მორო და საშუალო გაქანების ესპანელი სანტიაგო ბოტერო. მათი ადგილი კი არმსტრონგის მარადიულმა და უომედო მდევარმა იან ულრიხმა და კიდევ ერომა ესპანელმა ფრანსისკო მანსებომ დაიკავეს. ამ ორი ეტაპის ჯამში ულრიხმა ერთბაშად ოთხი ადგილი მოიგო — მერვედან მეოთხე საფეხურზე აინაცვლა, მაგრამ არმსტრონგს მაინც დაშორდა, რაკი მანამდე ოთხი წუთით ჩამორჩებოდა და პირინეის ფერდობებზე ამ სხვაობას კიდევ ორ წუთამდე დაამატა, რითაც ფაქტობრივად წლეულსაც წააგო ამერიკელთან გაჯიბრება — ამხელა სხვაობის გამბათილებელი ნამდვილად არ ჩანს გერმანელი.

არადა, შაბათს მეთოთხმეტე ეტაპზე ულრიხს ხელსაყრელი პირობა შეექმნა არმსტრონგის შესატევად. მისი გუნდი „ტი-მობაილი“ გადასარევად მუშაობდა და მთელ პელოტონს კარნახობდა რბოლის ისეთ ტემპს, რომელსაც ბევრმა ვერ გაუძლო და მოიერიშეებს ადრეულადვე ჩამორჩა. ერთი ხანობა არმსტრონგსაც შიში შეეპარა, ემანდ, მეც არ ჩამომიტოვონო, მაგრამ ეტაპის ნახევრის მშვიდად გავლის შემდეგ დაწინაურებულები ისეთ მთას მიადგნენ, „ტი-მობაილის“ ვარდისფერმა მატარებელმა თანდათან დაკარგა სიჩქარე და ულრიხი თითქმის მარტო შეატოვა არმსტრონგს, ბასოს და კიდევ ერთი-ორს, ვისაც ფეხში ძალა შერჩენოდა. ულრიხმაც, სანამ შეეძლო, სდია ჩემპიონს, ბოლო კილომეტრზე კი, რომელიც ასევე აღმართზე გაწოლილიყო, თანდათან ჩამორჩა და ლენსთან 20 წამი წააგო.

ეტაპი კი არც არმსტრონგს მოუგია და მიმდინარე ტურის არც სხვა ფავორიტთაგანს. საფინიშო ნიშნულთან ყველას მიასწრო ველოსპორტის ბებერმა მგელმა, 34 წლის ავსტრიელმა გეორგ ტოტჩნიგმა, ვინაც პელოტონში ერთ-ერთი ყველაზე ხნიერი კი გახლავთ, მაგრამ ასაკი ჯერ ვერას აკლებს და მშვენიერი შედეგებიც აქვს — შარშან ტურზე საბოლოო ჩათვლაში საპატიო მე-7 ადგილი დაიჭირა, ახლა კი, თავადაც ხედავთ, ურთულეს ეტაპზე ამხელა ხალხს აჯობა. ისე, მე თუ მკითხავთ, ასეთი ეტაპის მოგება ჯობია საერთო ჩათვლაში ათეულის ფსკერზე მოხვედრასო — აი, ასე ამბობდა ტოტჩნიგი ნარბოლევს.

მივადექით, მე-15, საკვირაო ეტაპს, რომელიც წინაზე არანაკლებ რთული და აღმართიანი გახლდათ, თუმც შაბათს გვარიანად მოღლილმა ფავორიტებმა ახლა მთლად ისეც ვეღარ იარეს და წინ შედარებით მეტი უსახელო გაატაროს. ამ 205-კილომეტრიან ეტაპზე მრბოლებმა არც მეტი, არც ნაკლები, ექვსი გვარიანი აღმართი გაიარეს თავის დაღმართებიანად და არმსტრონგის გუნდმა „დისქოვერიმ“ კიდევ ერთი კარგი დღე გადააგორა. არმსტრონგი რბოლამდე ამბობდა, მოგება მწადიაო და ჩაუქადაც ატრიალა პედლები, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, გამარჯვება მის უცნობ თანაგუნდელს და თანამემამულეს ჯორჯ ჰინკეიპს შეხვდა. არც თავად კინგ-ლენსი დარჩა დიდად გაწბილებული, მეშვიდე ადგილი დაიჭირა და რაც მთავარია, არცერთი კონკურენტი წინ არ გაუშვია. მასთან ერთად, გადაკვეთა ფინიში ივან ბასომ, რომელიც მთებში ყველაზე სოლიდურად გამოიყურება და ყოველდღე ამტკიცებს, რომ არმსტრონგის მთავარი მდევარი ულრიხი კი არა ის გახლავთ.

კოტე ყორღბია

მე-14 ეტაპი. 16 ივლისი. აგდი — აქს-დოვანი. 220,5 კმ

1 გეორგ ტოტჩნიგი (ავსტრია, გეროლშტეინერი)	5 სთ, 43 წთ, 43 წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	+56 წმ
3 ივან ბასო (იტალია, CSC)	+58 წმ
4 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+1 წთ, 16 წმ
7 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+1 წთ, 47 წმ
8 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	იგივე დრო

მე-15 ეტაპი. 17 ივლისი. ლეზა — სენტ-ლარი სულა. 205,5 კმ

1 ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, დისქოვერი)	6 სთ, 6 წთ, 38 წმ
2 ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ფონაკი)	+6 წმ
3 პიეტრო კაუჩიოლი (იტალია, კრედიტ აგრიკოლი)	+38 წმ
6 ივან ბასო (იტალია, CSC)	+5 წთ, 4 წმ
7 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	იგივე დრო
9 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+6 წთ, 28 წმ
10 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+6 წთ, 32 წმ
11 ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	62 სთ, 9 წთ, 59 წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	+2 წთ, 46 წმ
3 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+3 წთ, 9 წმ
4 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+5 წთ, 58 წმ
5 ფრასისკო მანსებო (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	+6 წთ, 31 წმ



მსოფლიოს ჩემპიონატი. *მონრეალი*



მაიკლ ფელპსი

მონრეალის გაშლილი და დაკეცილი წყალი

გუშინ მონრეალში დაიწყო მოცურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. მოცურავეთაო, ვამბობთ, თორემ ეს ჩემპიონატი აერთიანებს როგორც უშუალოდ მათ ასპარეზობას, ისე სინქრონული ცურვის, წყალბურთელებისა და წყალში მხტომელების შეჯიბრებებს, აგრეთვე, გაშლილ ზღვაში მოცურავეთა პაექრობას.

ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებამდე ამ შეჯიბრების მასპინძლის ვინაობა გაურკვეველი იყო. თავდაპირველად მისი გამართვა სწორედ მონრეალში იყო დაგეგმილი, მაგრამ შემდეგ ფინანსური პრობლემების გამო კანადელებს მისი მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.

ამ ასპარეზობის მასპინძლობასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალი იმდენად უპრეცედენტო იყო, რომ რამდენიმე სიტყვით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ყოველივეს, რასაც ჩვენი გაზეთიც ლამის ორი თვის განმავლობაში დროდადრო წერდა.

მას შემდეგ, რაც ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინამ) მონრეალს ფინანსური პრობლემების გამო ამ შეჯიბრების მასპინძლობის პატივი ჩამოართვა, მისი მიღება ნიუ იორკმა, ათენმა, ბერლინმა, პარიზმა და ბოლოს მოსკოვმაც ისურვა, რისთვისაც ამ ქალაქებმა სათანადო ოფიციალური განაცხადებიც გააკეთეს. მერე მასპინძლობაზე ხელი აიღო ნიუ იორკმა და, ბოლოს პარიზმაც უკან გაიტანა განაცხადი.

ამასობაში მონრეალის მერმა ჯერალდ ტრემბლიმ მასპინძლობის პატივის აყრა ქალაქის პრესტიჟზე ლახვარის ჩაცემად აღიქვა და თქვა, ნემსის ყუნწში გაკეთებული ნაბიჯებით მთელ ხალხს პირადად მოვიძიებო.

მონრეალში ამ აჟიოტაჟს შეეწირა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დირექტორი, 59 წლის ივონ დე როში. მან საკუთარ ავტომობილში თავი მოიკლა მას მერე, რაც იმ უბედურს პრესამ ჩემპიონატის დაკარგვის გამო კრიტიკის დაუნდობელი ქარცეცხლი დაატეხა თავს.

ასე იყო თუ ისე, ფინამ ასპარეზობის მასპინძლობის გასარკვევად უკანასკნელ თარიღად შუა თებერვალი დათქვა, ბოლოს კი ჩემპიონატი მაინც მონრეალს დაუბრუნდა.

მონრეალელებმა ამას მას მერე მიაღწიეს, რაც უმოკლეს დროში ყველა გარანტია წარადგინეს და მას ათასი ბოდიშიც დაურთეს, რამაც ფინას სხდომის მონაწილეს გული მოულბო.

ასე იყო თუ ისე, გუშინ მონრეალში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი. თავდაპირველად სტარტზე გამოვიდნენ ღია წყალში 5 კილომეტრზე მოასპარეზე ქალები და კაცები. ღია წყალში 10 და 25 კილომეტრზე შეჯიბრებები გაიმართება 20, 22 და 23 ივლისსაც, ხოლო აუზში ასპარეზობები მხოლოდ ამის მერე, 24 ივლისს დაიწყება.

მსოფლიოს ცურვის ვარსკვლავთაგან ეს ჩემპიონატი რამდენიმე სპორტსმენს მოისაკლისებს. მათ შორის იქნება მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ავსტრალიელი იან ტორპი, რომელმაც გადაწყვიტა ამ ასპარეზობის გამოტოვება, რათა უკეთ მოემზადოს 2008 წელს პეკინში გასამართი ოლიმპიური თამაშებისთვის.

მონრეალში ვერ ვიხილავთ ტორპის მსგავსი ტიტულების მქონე ჰოლანდიელ პიტერ ვან დერ ჰუგენბანდსაც. „სამაგიეროდ“ მონრეალში იასპარეზებენ ასევე მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონ-რეკორდსმენები, ავსტრალიელები, ვრანტ ჰაკეტი და მაიკლ კლიმი, აგრეთვე ამერიკელი მაიკლ ფელპსი, რომელმაც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი, 6 ოქროსა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რისთვისაც შარშანდელი წლის სპორტსმენად დაასახელეს.

აუზში ცურვაში, რა თქმა უნდა, ფავორიტებად ამერიკელები და ავსტრალიელები ითვლებიან. თუმცა 10 კილომეტრზე გაშლილ წყალში გამარჯვებას რუსებს ლარისა ილჩენკოსა და ქსენია პოპოვას უწინასწარმეტყველებენ, რომლებმაც დუბაიში მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე სწორედ მარათონში მოიპოვეს ოქროსა და ვერცხლის მედლები.

წყალბურთელ ქალთა შეჯიბრებაშიც რუსეთის გუნდი ითვლება ფავორიტად. რუსები არიან ფავორიტები აგრეთვე სინქრონულ ცურვაში. ვარაუდობენ, თუ ანასტასია დავიდოვა და მისი სეხნია ერმაკოვა რაიმე უხეშ შეცდომას არ დაუშვებენ, ოქროს მედლები გარანტირებული აქვთო.

მსგავსი ვითარებაა ამავე სახეობის ჯგუფურ ასპარეზობაშიც.

რაც შეეხება წყალში ხტომას, აქ აშკარა ფავორიტები ჩინელები არიან, რომლებიც ამ სახეობაში ბოლო წლების მოდის კანონმდებლებად ითვლებიან.

ავთანდილ ბაყვიშელი

DAVIS CUP BNP PARIBAS

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ. ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲡᲬᲘᲜᲐᲚᲘ *6 - 8 თებერვალი*

ტანგო ბალახზე

გაუჩოებმა ოზები დაამცირეს

AFP სიდნეიდან

არგენტინელები ავსტრალიაში გამარჯვებას ხარობენ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 1:4 ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

უეინ ართურსი, ლეიტონ ჰიუიტი — დავიდ ნალბანდიანი, მარიანო პუერტა 6:7 (6:8) 4:6 3:6

ᲙᲕᲘᲠᲐ. 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ჰიუიტი — ნალბანდიანი 2:6 4:6 4:6; პიტერ ლუშაკი — გილერმო კორია 3:6 6:7 (11:13)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ დღის მერე, როცა ლეიტონ ჰიუიტმა გილერმო კორიას დამაჯერებლად აჯობა და დევისთასის 28-გზის მფლობელნი თითქოს წაღმართ გზაზე შეაყენა, ალბათ ცოტა თუ ელოდა იმას, რომ ყველაფერი ოზთათვის ასე კატასტროფულად დასრულდებოდა.

მართალია, უეინ ართურსის იმედი ბევრს არა ჰქონდა, მაგრამ ვარაუდი ისეთი იყო, რომ მასპინძლები შაბათს საწყვილაო შეხლასაც მოიგებდნენ, ხოლო კვირას ჰიუიტი დავიდ ნალბანდიანის ძლევით საქმეს საბოლოოდ მოაყომარებდა.

მაგრამ ვინ აცალათ.

ღონიერმა არმენოარგენტინელმა შაბათს ჯერ მისი და ართურსის პარასკევიდან (კორტის ზედმეტად დაცვარულობის გამო) გადმოტანილ მატჩში იმარჯვა, მერე კი წლევანდელი როლანგაროსობის ფინალისტ მარიანო პუერტასთან შეჯუფთებულმა ჰიუიტ-ართურსის ექსპერიმენტულ წყვილს გადაუარა. ამ მატჩმა სულ რაღაც საათსა და 46 წუთს გასტანა და ჯიშად მეთიხნარე სტუმრებმა ტრადიციულად ბალახისმოყვარე მასპინძლები ყველასთვის მოულოდნელად ერთობ იოლად (აჯაბნეს. ნამატჩევს თავად ოზთა კაპიტანი ჯონ ფიცჯერალდიც აღიარებდა, არგენტინელებმა მართლაც ზღაპრულად ითამაშესო.

ოღონდ ზღაპარი ამით არ დამთავრებულა და ეშხში შესულმა ნალბანდიანმა კვირას კიდევ ერთი მოულოდნელობა გამოკვერა.

საიმისოდ, რათა ოზთა კისკას ყოჩზე 2002 წლის უიმბლდონობის ფინალში ნაწვნევი მარცხისთვის ერევანშა, საზეო ფორმაში მყოფსა და ბრწყინვალედ მოსარჯე არმენოარგენტინელს ოდენ საათი და 54 წუთი დასჭირდა. ვგონებ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჰიუიტი ბალახზე ასე თავად როჯერ ფედერერსაც არასოდეს დაუჩაგრავს. ასეთ უილაჯოდ, უნაპერწკლოდ და უხალისოდ ლეიტონს ძალიან იშვიათად უჩოგნავია. და ეს მით უფრო გვაოცებს, რომ დევისთასზე ის ყოველთვის ჯიგრიანად ბურთაობას და მშობლიური პუბლიკის წინაწე კუდრაჭობას ხომ საერთოდაც ბევრი არაფერი ურჩევნია.

პუბლიკა კი გუშინ მართლაც მაგრად დაშვრა, რაღა არ სცადა, მეტოქისგან შევიწროებულ თავის ჯილაში ცეცხლი რომ დაენთო. მავანი მებუკე მთელი განდაგანის მსვლელობისას ეროვნულ ჰიმნსაც კი ასაყვირებდა, მაგრამ — ამაოდ.

როცა ნალბანდიანმა საქმე მოათავა, არგენტინელები კორტზე გამოიჭრნენ და ჰალალად შეუბერეს. მართალია, ეს შებერვა ტანგოსებრ დახვეწილი არ ყოფილა, მაგრამ მაინც კარგი სანახავი გახლდათ, ისევე კარგი, როგორც რომ თავად არმენოარგენტინელის ბარაქიანი გარჯა.

„ეს დაუჯერებელია — იძახდა ნამატჩევს ნალბანდიანი — ბედნიერი ვარ, რომ ლეიტონს ასე იოლად და კამაც-კამაც მოვერიე. აქედან ისეთი თავდაჯერება მიგვაქვს, რომ აწი ჩვენი გაჩერება ძალიან ძნელი იქნება.“

ჰიუიტი კი თავის მხრივ ჩოგანს ასავსავებდა და, ეგეთი გაუნძრევლობით ბალახზე კერაფერს მიაღწევო, თავის თავს ამუნათებდა. საკუთრივ „გაუნძრევლობას“ კი დაღლილობით ხსნიდა, აქაოდა, უიმბლდონობის მერე დასვენება და ძალების აღდგენა ვეღარ მოვახერხეო...

მერე კი იყო უკანასკნელი, აღარაფრის მაქნისი მატჩი, რომელშიც გილერმო კორიამ ორ სეტში და თანაც ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოუგო ართურსის ნაცვლად გამოსულ პიტერ ლუშაკს და ანგარიში მასპინძელთათვის დამამცირებლად გააოთხითერთა.

ასე და ამგვარად, არგენტინამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში უკვე მესამედ უწია ნახევარფინალს. ალბერტო მანსინის სამწყსო იქ სლოვაკეთს დაუპირისპირდება. შეხლა 23-25 სექტემბერს ბრატისლავაში უნდა შედგეს.

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ 4:1 ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

კაროლ ბეკი, მიხალ მერტინაკი — მელე ვან გემერდენი, პაულ ჰაარპოისი 5:7 6:3 6:4 7:5

ᲙᲕᲘᲠᲐ . 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

დომინიკ ჰრბატი — პეტერ ვესელსი 6:3 6:1 3:0 ვესელსმა შეწყვიტა; მერტინაკი — ვან გემერდენი 4:6 6:3 6:4

ᲗᲐᲕᲘᲡ მე-12 სადეკისო მცდელობაზე სლოვაკეთმა პირველად შეძლო მსოფლიო ჯგუფის უძლიერეს ოთხეულში მოხვედრა. ამ ამბავში ლომის წილი დაიდო 27 წლისა და რეიტინგსიის 26-ე საფეხურზე მდგომმა დომინიკ ჰრბატიმ, ვინაც თავისი ორივე საერთეულო შეხვედრა მოიგო.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 3:2 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

იგორ ანდრეევი, მიხაილ ტრეტიაკოვი — ჯონ ლეგანი, მიშელ ლორა 5:7 4:6 7:6 (7:3) 2:6

ᲙᲕᲘᲠᲐ. 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ნიკოლაი დავიდენკო — რიშარ გასკე 6:2 4:6 6:2 6:1; ანდრეევი — პოლ-ანრი მათიო 6:0 6:2 6:1

ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ითქვას, ოღონ რუსთა და ფრანგთა ამ დაპირისპირების ბედი მილიანად სიკეთეა დავიდენკოს ტრავმირებულ ძაღლზე იყო დამოკიდებული [illegible] დურთა საბელნიეროდ, ამ [illegible] ბის განმავლობაში დავიდენკოს [illegible] ჯას არ გაუჩმახებია [illegible] გსიის მეშვიდეადგილისანც [illegible] სკევს პოლ-ანრი მათიოს [illegible] ჯერებლად რომ გაუსწორდა, [illegible] შინ ასევე გაუსაბიერებლად [illegible] მატა ფრანგთა 19 წლის ეთან [illegible] შარ გასკეს.

24 წლის დავიდენკო წლეულს კარიერის მართლაც საუკეთესო სეზონს თამაშობს და ეს [illegible] ერთხელ თვალნათლივ [illegible] გასკეს წინააღმდეგ [illegible] ფრანგმა თინეიჯერმა, [illegible] ველად იდეისა, მის [illegible] როვან, ზუსტ და [illegible] ნაობას ბევრი [illegible] [illegible] რისპირა. არადა, [illegible] ხსოვდეთ, მაო ერთადერთ [illegible] ხვედრაში, რაც [illegible] ნტეკარლობაზე [illegible] კმაოდ შთამბეჭდავი [illegible] მიითვალა. თუმცა [illegible] — და ალბათ არც ეს [illegible] ვიწყებოდათ — მან [illegible] ფედერერის დამარცხებაც [illegible]

ერთი სიტყვით და [illegible] გებით, მთავარი სწორედ [illegible] ნკოს ეს გამარჯვება [illegible] დგანაც იმაში, რომ [illegible] დრას წყვილი ანდრეევ-ტ [illegible] ჯუფთს, ხოლო ანდრეევ [illegible] მატჩში მათიოს [illegible] მხოლოდ საქმეში [illegible] უხედავთ თუ ეპარებოდათ

ამ მათიოს რუსებისა [illegible] მატჩში დამარცხება [illegible] დასავით. ხომ გახსოვთ, 2002 წლის პარიზული დეკისფინალის გადამწყვეტ შეხლაში [illegible] სეტით რომ უგებდა და [illegible] ზედიზედ სამი სეტის წაგება [illegible] მოახერხა? ჰოდა, თუ გახსოვთ, მაშინ იმასაც მიხვდებით, [illegible] ნიგნის კანკალით [illegible] ანდრეევის წინააღმდეგ [illegible] სამარცხვინოდ [illegible]

რუსებმა კი 2002 წლის შემდეგ პირველად გააღწიეს ნახევარფინალში, სადაც მათი მეტოქენი ხორვატები იქნებიან. შეხლა ხორვატიაში, 23-25 სექტემბრის შედგება.

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 3:1 ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ. 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

მარიო ანჩიჩი, ივან ლიუბიჩიჩი — ანდრეი პაველი, გაბრიელ ტრიფუ 5:7 6:4 6:7 (9:11) 6:4 6:4

ᲙᲕᲘᲠᲐ. 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ლიუბიჩიჩი — პაველი 6:3 6:4 6:3; ანჩიჩი — ვიკტორ ჰანესკუ 7:6, 7:6

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐ არ იცის, ხორვატებმაც თავიანთ ხანმოკლე დევისისტორიაში პირველად უწიეს მსოფლიო ჯგუფის ნახევარფინალს. გადამწყვეტი როლი ამ ამბავში ივან ლიუბიჩიჩმა შეასრულა, რომელმაც თავისი ორივე საერთეულო მატჩი მოიგო [illegible] კუსა და პაველის წინააღმდეგ და მარიო ანჩიჩთან შეკვეთილის წყვილთა დაგნარშიც ამარჯვა.

AFP მოსკოვიდან

ნიკოლაი დავიდენკო



ელენა ისინბაევამ ამ სამზადისის შემდეგ კარიერაში მეთხუთმეტე რეკორდი დაამყარა

ლენას დარჩა ოცდაერთი

მადრიდში მსოფლიოს რეკორდი დამყარდა

ჟოკით ხტომაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რუსმა ელენა ისინბაევამ, რომელიც იმავდროულად IAAF-ის მსოფლიო საყოველთაო რეიტინგში პირველ ადგილზეა, მადრიდში მორიგი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 4.93 მეტრი.

მადრიდში მიმდინარე შეჯიბრებას იქაურად meeteng de atletismo Madrid 2005 ეწოდება და ამ სახელწოდებას თარგმნა არც სჭირდება, იმდენად გასაგებია, რომ საქმე ათლეტიზმის ანუ მძლეოსნობაში მადრიდულ შეხვედრას ეხება.

ახლა 23 წლის ისინბაევას უკვე თხუთმეტი მსოფლიოს რეკორდი აქვს კარიერაში დამყარებული. საინტერესოა, რომ რუსმა მძლეოსანმა თავისი პირველი რეკორდი ამ წარმატებამდე ზუსტად ორი წლით და სამი დღით ადრე დაამყარა. აღსანიშნავია ისიც, რომ მისთვის წლეულს ეს უკვე მეორე მადრიდული რეკორდია. პირველი მარტში დარბაზში დაამყარა, როდესაც 4.90 მეტრს გადაეკვლა.

„ვიცოდი, რომ რეკორდის კვლავ დასამხობად მზად ვიყავი, თუმცა პირობები საკმაოდ რთული იყო, ცხელოდა და ქარი ქროდა.“

შემდეგ ისინბაევამ აღნიშნა, რომ მის ამ წარმატებაში მთავარი წვლილი ისევ და ისევ მისი მწვრთნელის, ევგენი ტროფიმოვისაა:

„ჩემი მწვრთნელი დაუღალავად მიმეორებდა, რომ ტექნიკური თვალსაზრისით უზადოდ ვიყავი მომზადებული და ამან დიდი როლი ითამაშა.“

საინტერესოა, რომ ისინბაევას მსოფლიოს მორიგი რეკორდი ლეგენდარულმა უკრაინელმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ მიულოცა. თავად 35 რეკორდის დამმხობი თურმე მადრიდში გახლდათ და შეჯიბრებას ესწრებოდა.

„მადრიდი ჩემთვის განსაკუთრებული ქალაქია. აქ მე მსოფლიოს ორი რეკორდი დავამყარე და ორივეჯერ მაყურებელმა დიდად დამიჭირა მხარი,“ — დასძინა ვოლგოგრადელმა ქალმა, რომელსაც თურმე ბუბკაზე მეტი ბუბკობა ჰქონია გულში ამოჭრილი. როდესაც მას ჰკითხეს, რატომ აუმჯობესებს რეკორდებს თითო სანტიმეტრით, ისინბაევამ ასე მიუგო:

„ორი მიზეზია. ჯერ ერთი ხტომის მანერა ახლა გაცილებით ლამაზი მაქვს ვიღრე ადრე მქონდა და მეორეც, მინდა, ჩემს მიერ დამყარებული რეკორდების რაოდენობა 36 გახდეს, რათა სერგეი ბუბკას ვაჯობო.“

ისინბაევამ მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე ერთხელაც დაადასტურა, რომ 5-მეტრიანი ბარიერი ვარჯიშზე რამდენჯერმე აქვს გადალახული. ჰელსინკის მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატამდე რუსი ვარსკვლავი ახლა პარასკევს ლონდონში იასპარეზებს, ხოლო 26 ივლისს სტოკჰოლმში.

ისინბაევას გარდა მადრიდულ შეჯიბრებაში კიდევ ორი შედეგია ყურადსაღები. ორივე მიმდინარე სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი გახლავთ. პირველია ამერიკელი სიგრძეზე მხტომელის დუაიტ ფილიპსის 8.47 და მეორე ლიტველი ბადროს მტყორცნელის ვირგილიუს ალეკნას 70.67 მეტრი.

შეჯიბრების წინ ზემოხსენებული ფილიპსი ამბობდა:

„ჩინებულ ფორმაში ვარ. ერთი კვირის წინ რომში 8.39 მეტრი დავძლიე, ამიტომ, ახლა 8.60-ზე მეტის იმედი მაქვს.“

როგორც ხედავთ, ამერიკელმა მიზანს მთლად ვერ მიაღწია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რაც შეძლო, მისთვის ალბათ დამაიმედებელი იყო.

ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ კი ამ სეზონში ზედიზედ მეთერთმეტე შეჯიბრებაში გაიმარჯვა. თან, უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი სეზონის საუკეთესო შედეგი 9 სანტიმეტრით გაუმჯობესა. ერთი სიტყვით, 33 წლის ათლეტი ამ წელიწადს დაუმარცხებელია და 70-მეტრიან ბარიერს სამჯერ გადაცდა. შეგახსენებთ. ან თუ არ იცით, მოგახსენებთ, რომ ბირთვის კვრაში მსოფლიო, რეკორდი უხსოვარ დროს, 1986 წელსაა დამყარებული. მისი ავტორია გერმანელი იურგენ შულტი და იგი 74.08 მეტრს უდრის.



ვირგილიუს ალეკნა ამ სეზონში დაუმარცხებელია

ტუტა სიხარულიძე

დორტმუნდის ჩემპიონატი

დორტმუნდი. გერმანია 8 - 17 ივლისი

VII ტური

პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	1:0	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	0,5:0,5	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)
ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	1:0	მაიკლ ადამსი (ინგლისი)
პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	0:1	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)
ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	0,5:0,5	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)

VIII ტური

მაიკლ ადამსი (ინგლისი)	0,5:0,5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	0,5:0,5	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	0:1	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)
ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	1:0	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)

ტოპალოვს გაღვიძება დაუგვიანდა

ყველას აოცებს 19 წლის მასპინძელ არკადი ნაიდიჩის კარგი თამაში. ახაგაზრდა გერმანელი, რომელიც ტურნირზე მოთამაშე დიდოსტატებს ფიდეს რეიტინგში თითქმის 100 ადგილით ჩამორჩება, ტოლს არავის უდებს და ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. მერვე ტურში ნაიდიჩმა საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონ ეტიენ ბაკროს გაუყო ქულა და ამით ლიდერობა შეინარჩუნა.

მეტოქეებმა პეტროფის დაცვა გაითამაშეს და მე-4 სვლაზე პაიკები გაცვალეს. მე-5 სვლაზე ბაკრო მზედრებით იერიშებს შეუდგა, ნაიდიჩმა კი ხელმწიფე დააბინავა და ფრანგს ამის შემდეგ შეუტია. მოჭადრაკეები ახალი იერიშისთვის ფიგურების მობილიზებას შეუდგნენ, თუმც ერთმანეთს აღარ დაეტაკნენ და 23-ე სვლაზე მშვიდობიანად დაასრულეს ბრძოლა.

ბოლო ტურებში თამაშს უმატა ყოფილმა ფავორიტმა ვესელინ ტოპალოვმა, თუმც საეჭვოა, ტურნირის მოგება შეძლოს. ბოლოსწინა ტურში ბულგარელმა სტომატოლოგმა შავი ფიგურებით ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი შემუსრა. დებიუტში მოჭადრაკეებმა პაიკები გამოიყვანეს წინ, უკან კი მძიმე ფიგურები მიუყენეს და ცენტრისთვის ბრძოლას შეუდგნენ. ტოპალოვი თანდათან გააქტიურდა. მან ჯერ მარცხენა ფლანგიდან შეუტია მეტოქეს, შემდეგ კი მარჯვენიდან და თეთრები ცენტრიდან გაყარა. ვან ველმა თავისი ჩაკეტილი ფიგურების გასათავისუფლებლად დაიწყო ბრძოლა და ლაზიერის ფლანგიდან ეტლითაც გაიჭრა წინ, თუმც ამასობაში ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და 38-ე სვლაზე შავი ლაზიერისგან მძიმე დარტყმა იგემა. ჰოლანდიელი მოიერიშე დედოფლის განდევნას შეუდგა, თუმც შავ მეომარს მალე მაშველი ძალა მიეხმარა და 47-ე სვლაზე გამარჯვება იზეიმა.

დიდი უკუნახტომი გააკეთა დანიელმა პეტერ ჰაინე ნილსენმა. შეგახსენებთ, რომ საწყის ტურებში იგი ლიდერი იყო, ახლა კი 2,5 ქულით ბოლო ადგილზეა განრთხმული.

ლაშა გეგეჭკორი



47-ე სვლაზე ტოპალოვმა ვან ველის მეფე გაჰედა

ვესელინ ტოპალოვი ბოლოს გამოფხიზლდა

1	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	5
2	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	4,5
3	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	4,5
4	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	4,5
5	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	4
6	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	4
7	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	4
8	პეტერ ლეკო (უნგრეთი)	4
9	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	3
10	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	2,5

სცემეს!

ჯერმენ ტეილორი ჩემპიონია



ჯერმენ ტეილორმა თვით ბერნარდ ჰოპკინსი დაამარცხა

ჯერმენ ტეილორი რინგზე ავიდა და ბერნარდ ჰოპკინსს კუდით ქვა ასროლინა — აი, ასე.

არადა, ჰოპკინსის გამოცდილება, სარინგო გამჭრიახობა და ფანდები ამ საშუალო წონის საჩემპიონო ბრძოლაში გამარჯვებულის ვინაობაში ეჭვის შეტანას თითქმის იმთავითვე გამორიცხავდა, მაგრამ ტეილორმა დაამტკიცა, რომ ეჭვი გარკვეული დოზით სასარგებლო და საჭირო რამ არის.

„ამ ბრძოლისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებოდი. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვებას სიმშვიდე და მოთმინება დასჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ბერნარდ ჰოპკინსი თავიდანვე არ მომვარდებოდა და ეგრეთწოდებული ნელი სტარტის პრინციპით დამიპირისპირდებოდა. ვფიქრობ, ბრძოლის მოგებას ჩემი მხრივ სწორედ საწყის რაუნდებში ჩავუყარე საფუძველი."— განაცხადა შემდეგ გამარჯვებულმა.

ჰოპკინსს, რომელიც ნელი სტარტის არჩევაში შეცდა, აქამდე ზედიზედ ოცჯერ ჰქონდა ჩემპიონის ტიტული ანუ ქამარი დაცული. ამჯერად კი, ტეილორთან ბრძოლაში მოხდა ის, რომ სანამ იგი გონს მოეგო და მეტოქეზე გალაშქრება გადაწყვიტა, მას უკვე გვარიანი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული, რომლის გაბათილებაც ძალიან ძნელი გამხდარიყო — ცოტა დააკლდა, მაგრამ... თუმცა ამაზე ქვემოთ.

მართალია, ტეილორს პროფესიული კარიერის ოცდაოთხივე ბრძოლაში გამარჯვება ეზეიმა, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ჰოპკინსთან მას ყველა განწირულად თვლიდა, ვინაიდან სწორედ ჰოპკინსია მიჩნეული თანამედროვე რინგის ყველაზე დიდ წარმომადგენლად.

„ჰოპკინსმა ერთხელაც ვერ მატკინა, — თქვა გამარჯვებულმა, — როგორ არა, ჰქონდა რამდენიმე კარგი დარტყმა, მაგრამ ვერაფერი მავნო."

ბერნარდ ჰოპკინსი 40 წლისა გახლავთ და მას მერე, რაც 12 წლის წინათ როი ჯონსმა სცემა, ტეილორთან ბრძოლამდე დაუმარცხებელი იყო.

„ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე გავიმარჯვე, ქამარი კი სხვა ბიჭს მისცეს," — ვერ შეეგუა მარცხს აქამდე დაუმარცხებელი.

რის საფუძველზე ამბობს ასეთ რამეს ჰოპკინსი? მსაჯმა ჯერი როტმა ანგარიში ჰოპკინსის სასარგებლოდ 116:112 დათვალა, მაგრამ მისმა კოლეგებმა — დუნ ფორდმა და პოლ სმითმა ტეილორის სასარგებლოდ 115:113 თქვეს. მსაჯმა ფორდმა ბოლო რაუნდში გამარჯვება ტეილორს მიანიჭა. ჰოპკინსისთვის რომ მიენიჭებინა, ფრე იქნებოდა.

„შედეგი რომ გამოაცხადეს, კინაღამ ვიტირე. დიდებული იყო." — თქვა ტეილორმა.

ჰოპკინსი: „თავს ამაყად ვერ ვწევ. მახსოვდა როი ჯონსთან თორმეტი წლის წინანდელი წაგება და საკუთარი თავისთვის დათქმული მქონდა, რომ ასეთი გრძნობა ხელმეორედ აღარ უნდა მეგემა. მეორე მხრივ მწამს, რომ დიდებულად ვიკრივე."

სხვათა შორის, როდესაც ჰოპკინსმა მსაჯ ფორდის გადაწყვეტილების ამბავი გაიგო, შესძახა: „რა გააკეთა? აი, ნამდვილი შოკი!"



საფინალო გონგის შემდეგ ბერნარდ ჰოპკინსს თავი გამარჯვებული ეგონა

სამაგალითო მუსლიმის ბრწყინვალე დასაწყისი



ბრიტანელმა მუსლიმმა მოკრივემ ემირ ხანმა პროფესიული დებიუტი საუცხოოდ დაიწყო — დევიდ ბეილს სცემა. მერე რაო, იტყვით თქვენ, ამქვეყნად განა ერთ ან ორ მოკრივეს ჰქონია კარგი დებიუტი? არა, რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ყურადღება მიაქციეთ, წვრილი ხაზგასმით იმით დავიწყეთ, რომ ემირ ხანი მუსლიმია, ბრიტანელი მუსლიმი, ხოლო ლონდონში ამას წინათ მუსლიმებმა ტერაქტები მოაწყეს... მოკლედ, ვითარება დელიკატურია და, იმავდროულად, ვფიქრობთ, ემირ ხანისთვის ჩინებული, რადგან ინგლისს ახლა ყველაზე მეტად სწორედ სამაგალითო მუსლიმები სჭირდება...

ერთი სიტყვით, 18 წლის ბრიტანელმა შაბათს მეტოქე შთამბეჭდავად დაამარცხა და ზეიმის აღსანიშნავად ბრიტანული დროშა, „იუნიონ ჯეკი" ააფრიალა, ოღონდ ჩვეულებრივისგან განსხვავებით, მის დროშას შავი ასოებით ლონდონი ეწერა.

შთამბეჭდავ დამარცხებას იმას ვუწოდებთ, რომ მეტოქემ ემირ ხანს პირისპირ ორთაბრძოლის დაწყებიდან 109 წამის მერე ანუ პირველსავე რაუნდში გადმოუგდო. მოკლედ, დაჰკრეს თუ არა გონგ, ბრიტანელი მუსლიმი დევიდ ბეილს ეკვეთა და მისგან ხელის ერთიორი საპასუხო მოქნევის მიუხედავად ნოკაუტითაც დასცა.

„ეს ჩემი პირველი ბრძოლა გახლდათ და ამიტომ ვნერვიულობდი, — თქვა სამაგალითო მუსლიმმა, — ახლა შინ წავალ, ვიდეოს ჩავრთავ და ვნახავ, როგორი ჩატარდა ყველაფერი. მინდა ბრიტანული კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე და ვიმედოვნებ, რომ ეს ოცნება ამიხდება."

მაგრამ ემირ ხანის ბრძოლისშემდგომ პრესკონფერენციაზე მნიშვნელოვანი ადგილი, ცხადია, ლონდონის ტერაქტმა დაიკავა.

ემირ ხანმა თქვა: „ჩვენ ახლა ყველა ჯურის ადამიანი უნდა დავაახლოვოთ. რაც მოხდა საშინელება იყო. ჩემმა ოჯახმა და ჩემმა სამეგობრომ ამით დიდი დარტყმა მიიღო. ჩვენ ამერიკიდან ხალხს უნდა გავაგებინოთ, რომ ასეთი რამეების კეთება არ შეიძლება."

ემირ ხანის პრომოუტერი ფრენკ უორენი:

„ვუცქერდი ტრიბუნებზე გამოფენილ და აფრიალებულ დროშებს, ვხედავდი, რომ ემირი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისა და აღმსარებლობის ადამიანებს აერთიანებს და ვხვდებოდი, რომ პოლიტიკოსებმა სწორედ მისნაირი ფიგურები უნდა გამოიყენონ. ახალგაზრდობა მას უნდა ბაძავდეს, გმირი ის უნდა იყოს."

ტუტა სიხარულიძე

ფოსტალიონი, ელექტრიკოსი და ტერორისტი

ამერიკაში 59 წლის ფოსტალიონმა ერლ ლაიზებმ ჩვეულებისამებრ ფოსტა მიუტანა 60 წლის ელექტრიკოსს უილიამ კრაჩფილდს. ელექტრიკოსი ფოსტალიონს ასევე ჩვეულებისამებრ მიესალმა და კორესპონდენცია გამოართვა, მერე კი პისტოლეტი დაადრო და იმ უბედურს შვიდი ტყვია დაახალა.

ფოსტალიონი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, ელექტრიკოსი კი პირდაპირ პოლიციაში წავიდა და ყველაფერი აღიარა. გაკვირვებულ პოლიციელთა კითხვაზე, თუ რატომ ჩაიდინეთ მკვლელობაო, უპასუხა, მინდოდა თავი ამერიდებინა სამედიცინო კომპანიებისთვის გადასახდელი 73 მილიონი დოლარის ვალისთვის, რათა ჩემი სახლი არ გაეყიდათ. ჰოდა, სადღაც ღობის ძირში სიბერის გატარებას ციხეში ჯდომა მირჩევნიაო.

ეს ამბავი თავისთავად საინტერესო ისტორიაა, მაგრამ სპორტული გაზეთის ყურადღება რითი დაიმსახურაო, ალბათ იკითხავთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მკვლელობის მცდელობას სწორედაც რომ პირდაპირი კავშირი ჰქონია სპორტთან, უფრო სწორედ, ოლიმპიურ თამაშებთან, კიდევ უფრო ზუსტად...

გახსოვებათ 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიურ პარკში განხორციელებული ტერორისტული აფეთქება, რამაც ერთი კაცი იმსხვერპლა, მეორეს შიშით გული გაუსკდა, 100-ზე მეტი კი მეტ-ნაკლებად დაშავდა.

იმ ტერორისტული აქტის განმხორციელებელს წლობით ეძებდნენ, ბოლოს მისი ვინაობა კი დაადგინეს, მაგრამ ვერაფრით ვერ მიიხელთეს, რადგან იგი ჩრდილოეთ კაროლინის მთებს აფარებდა თავს. ორი წლის წინათ იგი საკვებისთვის ჩამოვიდა ქვემოთ და სწორედ მაშინ სტაცეს ხელი. მანაც აღიარა დანაშაული, რითაც თავიდან აირიდა სასიკვდილო განაჩენი და ოთხჯერ სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ელექტრიკოს უილიამ კრაჩფილდს სწორედ ერიკ რუდოლფის აღიარებამ უბიძგა ფოსტალიონის მკვლელობისკენ, რისი აღიარებითაც დარჩენილი ცხოვრების ღობის ძირში გატარება ირჩია.

სხვათა შორის, როცა კრაჩფილდს ჰკითხეს, თავს დამნაშავედ აღიარებთ თუ არაო, უპასუხა: „მე მინდოდა, რომ იქ მოვხვედრილიყავი, სადაც ახლა გამგზავნით და დავიწყებ სასჯელის მოხდას."

დიდი ნახტომი ჩინეთის დიდ კედელზე

ამერიკელმა დენი უეიმ თავის თანაშემწეებთან ერთად ჩინეთის დიდი კედლის ძირში ააგო სკეიტბორდის გრანდიოზული რამპა.

უეი იმედოვნებს, რომ გახდება პირველი ადამიანი, რომელიც ჩინეთის კედელს ძრავის გამოუყენებლად გადაახტება.

ამასთან, ეს ამერიკელი ფიქრობს სკეიტბორდით სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში თავისივე მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას.

ქალი და ფეხები



AFP მონრეალიდან

პარიზის შემდეგ უდიდეს ფრანგულენოვან ქალაქ მონრეალში მსოფლიოს წყლის სახეობათა ჩემპიონატი გაიხსნა და ცერემონიალზე ვეება ჯამ-ფიალაში აეს ქალთევზაც ჩაუყურყუმელავებიათ. გვერდით კი ფეხებს ხედავთ, რომელიც საბერძნეთის სინქრომოცურავე გოგონათა ნაკრების წყალზევითა სახეა.



AFP მონრეალიდან

უკან დარჩა ბოსფორი

„საბას საზღვაო ძალების რეგატა“, აი, ასე ჰქვია ამ აფროსნულ ტურნირს, რომლის იახტებმაც ესესაა, ბოსფორი გასცურეს და ჩაუარეს სტამბოლის ღირსშესანიშნაობებს, წმიდა სოფიას ტაძარს და ტოპკაფის სასახლეს.



AFP სტამბულიდან

სამი ნავი და ერთი იალქანი

მრავალკორპუსიანი, ზუსტად კი სამკორპუსიანი იახტა, ანუ ტრიმარანი, აემწამს შეცურდა ესპანეთის ჩრდილოდასავლეთ პორტ ვიგოში. იახტა გალისიის რეგატაში მონაწილეობს და მას ფრანგი შკიპერი მიშელ დეჟოიო მართავს.



AFP ვიგოდან

AFP კიევიდან

ფიტნეს ჰოზა

გაგიგიათ მსოფლიოს ფიტნეს ჩემპიონატი? თურმე ასეთიც არსებობს და მას წლეულს ეგვიპტური აუზეთი მასპინძლობს. ამ ფოტოზე მოპოზიორე ვაჟ-გოგონეული, დასტურ მოგახსენებთ, სლოვაკეთის ნაკრები გახლავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქროფაჭელიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით იავრთქილაძე, ვიბა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარგანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან ყველაურაძე, ოთარ ახალაია, ეკა ლიძე, ირაკლი ბერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენგაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, უარტ დეკლიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, ზეკად მისიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პრაკუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208
ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge